# გამომცემლისაგან.

თ. გრ. ორბელიანის ლექსები პირველად უფ. პეტრე უმიკაშვილმა გამოსცა 1873 წ., მეორედ მე გამოვეცი 1879 წ. გამოცემაში თვით პოეტმა მიიღო მონაწილეობა და უკანასკნელს კორექტორას თვით ასწორებდა. ეს მესამე გამოცემა გადმოიბეჭდა [illegible]გან გამოცემულის ერთი ეგზემპლიარიდამ, რომელიც თვით პოეტის ხელით არის შესწორებული და გარდმოცემული თვით მისგანვე, რომ თუ ოდესმე დაიბეჭდოსო, ამ ეგზემპლიარიდამ უნდა დაბეჭდოსო. ჩვენ დავბეჭდეთ ეს და დავიცავით ყველა ის, რაც-კი პოეტისაგან რამე [illegible]ილებანია შეტანილი.

ამ გა[illegible] წინანდელ ლექსებს გარდა, ხუთი სხვა ახალი ლექსი[illegible]უმატეთ. ერთი „ივერიიდამ“ გადმოვბეჭდეთ, რომელიც ი. მეუნარგიამ მოიპოვა და ოთხი ლექსი-კი მე მოვიპოვე განსვენებულის გრ. (თამარ ბატონიშვილის დამწერი) რჩეულოვისაგან შეკრებილს ლექსებში. ეს ლექსები იმავე დროს პოეტსაც ვაჩვენე და იმან ესენი თავის ლექსებად იცნო, თუმცა სხვებს-კი დაუსაკუთრებიათ: ლექსი „ახ ვითა გშვენის“ „ცისკარ“-შია დაბეჭდილი, რომელსაც ასო-„თ“ უზის, აქ დაბეჭდილი ეს ლექსი განირჩევა „ცისკარში“ დაბეჭდილის ლექსისაგან. მეორე ლექსი „ნეტარ მას“ არეულია ალ. ჭავჭავაძის ლექსებში. [illegible] ლექსი „ამა სოფელს დამაშთომიეს“ ესეც არეულია ალ. ჭავჭავაძის ლექსებში. ესევე ლექსი შეტანილია ბროსესაგან

გამოცემულს „ვეფხის ტყაოსნის“ შესავალში, იქ ჯიმშერ ჩოლაყა-შვილს აკუთვნებენ მას. მეხუთე ლექსი „ხალი“ აქამდის არ ყოფილა დაბეჭდილი.

ამ ლექსების ასე არევ დარევაზე მე არას ვიტყვი და მოუწოდებ ჩვენის მწერლობის მცოდნე პირთა, რომ იმათ განარჩიონ და განსაზღვრონ ეს; განსაკუთრებით უფ. პ. უმიკაშვილს და ი. მეუნარგიას, რომელნიც კარგათ იცნობენ, როგორც პოეტს, მის ცხოვრებას და მწერლობის კილოს, აგრეთვე მის ლექსებსაც. მე აქ მხოლოდ პოეტის სიტყვას დავენდე, რადგანაც თვით მან აღიარა, რომ ეგ ლექსები ჩემებიაო, მაგრამ აღარ მახსოვს როდის დავსწერეო. ამ ლექსების თითო პირი მასვე დაუტოვე შესასწორებლათა, მაგრამ შემდეგ ისინიც დაიკარგა. თუ მაინცა და მაინც ამ ლექსებს გრ. ორბელიანის ლექსებად არ იცნობენ, შემდეგ გამოცემაში გამოსტოვონ.

ზ. ჭ.

# ა ნ ტ ო ნ ს.

ჰე ჭაბუკო, სიხარულით დღენი შენნი განატარე:
იმხიარულე, შექმეც, ილხინე და შეიყვარე;
რთსა ჟამსაც ნუ დაჰკარგავ, გაქჳნდეს სახე მოცინარე.
იცოცხლითა აწვე დაჰსტკბი, მხიარულებს გული ვიდრე.

ნუ გ..ონია, სიჭაბუკე მარად იყოს განუყრელი:
ლმობ[...]ს დროს მიაქჳს იგი, მასთან ყოველი სიხარული,
იტკბოებსა სიცოცხლისა არცღა გჳრჩების სიყჳარული,
ურიად მსწრაფლად გვესტუმრების, ახ, სიბერე შეჭმუხვნილი...

ვითა ვარდის სიტურფენი მალე ჰსჭკნების და განჰქრების,
ნუ სიზმარს საამურსა ხილვა ტკბილი გჳჩვენების,
სრედ მსწრაფლ ჰრბი, სიჭაბუკევ, კჳალნიც შენნი ვერა ჰსჩნდების:
რაწვთ ვარდობა, ზაგეთ ღიმი საუკუნოდა გვშორდების.

ნეტარ მას, ამა სოფელსა ვინცა იგრძნო სიყჳარული!
ედნიერება, თჳთ სუნთქჳა, მის მიმართ აქჳს შეწყრული,
უამისოდ, ვისაც არ ჰსურს, არცა უწყის სიხარული,
ბაგვანაცა გული უძგერს, ვისთვისაცა არს სულდგმული!

მეგობრობასა სიცოცხლე, სიყჳარულსა მიეც გული!
ამათგან ჩჳენი ცხოვრება არს ტურფად აღყჳავებული.
წუხილი გჳაქვს? მათ მიეყრდნე, მყისვე ჰყონ განქარვებული,
მოგცენ იმედი, ნუგეში, სიამოვნება, ღიმილი...

ახ, მეც ვიყავ ბედნიერი, მეც მიყჳარდა მეც ვსტკბებოდი..
ჰე დღეო სიხარულისავ, ესრედ მსწრაფლად სად წახვედი?
მშვენიერო, გახსოვს, ოდეს შუქით ღამეს მინათებდი?
როს გხედავდი განშორებულს, ჩემს შორის სულს ვერ ვჰპოვებდი!

ნინო წმიდა, 1827.

## ) წვრილი ლექსები

I

საამო არს სახილველად, ოდეს ვარდი ნინას ჰპყრას.
მარამ ვინ ჰსცნას, ვინა სუნავს: ნინა ვარდს, თუ ვარდი ნინას?

II

რა მგამს, თუ ქჩ[illegible]ყანაზე დაჰსჭკნების ვარდი, იანი,
თუ კი მაჩჳნებ ღიმილით მარგარიტთ ბაგე-ღიანი.

III

სიყჳარულსა ჯერ არს, რათა მარად სურვა დაჰბერვიდეს.
თვარა, ვითა ცეცხლს უნივთოდ, არ უძს დიდ ხანს ენთებოდეს.

IV

როს ბულბული ვარდს შეჰსტრფოდეს, უგალობდეს, შეჰხარო-
დეს,
მაშინ ყვავსა რად არ ჰსცხვენის, რომ მათ შორის სამძღვრად
დასჯდეს?

1827—1829.

## ეკ. ჭა...ხას

წინანდლის ვარდო!
სულითა ტრედო,
გულითა წმინდავ, კამკამი წყარო!
ვითა ცისკარი,
ხარ მოცინარი,
რათა მხილველის გული ახარო.
იმხიარულე,
ვიდრე სიცოცხლე
შენი მშჳენიერებს, ვით ყვავილთ ჯაჭვი;
ვიდრემდის შენ ზე
დაგნათის, ვით მზე,
სიჭაბუკისა ნათელ ვარსკჳლავი!
ჭმუნვის ღრუბელი,
გულ-დამაბნელი,
ვიდრე მხიარულს არ შეგხებია;
ვიდრე ამ სოფლის,
დაუდგრომელის,
ვარდი ეკლადა არ გადაგცვლია!

წინანდალი 1829.

## მტირალი ნ... ს...

თუ ტურფანი თვალნი შენნი ცრემლთ აფრქჳევენ მწუხარებით,
სულისა შენის ტანჯჳანი არ არს უკეთუ ოცნებით,
მაშ მოკედ, მნათო, ჩემს გულზედ შეწუხებულის შვენებით,
ნაცჳლად შენსა მე ვიკვნესო შენის ჭმუნვისა მიღებით.

თუ ოცნებით ცრემლსა აფრქჳევ, ეგე ცრემლი, ახ, ვით გშვენის!
ვითა ნამი ზეციური თვალთა შინა გამობრწყინვის!
ვარდებრივთა ღაწჳთა ზედა მარგარიტნი გარდმოგცვივის,
თუ შეჰსწყვიტო, შევინახებ, გიმზერ ჩუმად და მიხარის.

წინანდალი 1829.

---

## მუხამბაზი

ნუ მასმევ ღვინოს, — უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით, —
თვარა მიმუხთლებს და წარმოსთქჳამს ენა ყოველსა,
ესდენ ხან კრძალვით დაფარულსა ღრმად ჩემსა გულსა:
უიმედოსა შენდა მომართ ჩემს სიყჳარულსა,
ტანჯჳათა, ოხრვათ, იდუმალად მომდინარს ცრემლსა,
ჩემს შესაბრალისს გაშმაგებას ცნობათ დაფანტვით...
ნუ მასმევ ღვინოს, უღვინოდ ვარ მთჳრალ შენის ეშხით!

***

გულის ურჩისა დასამშვიდად მცირედ გონება
შემრჩომიაღა, და მისიცა გსურს დაბნელება!
მის დასამონად, იცი კმარა შენი შვენება,
ერთი მოხედვა ტრფიალებით, მცირ-ყურადღება!
იცი, მარამა თასს კი მაძლევ მღიმარეს სახით.
ნუ მასმევ ღვინოს, უღვინოდ ვარ მთჳრალ შენის ეშხით!

***

რადგან არ იშლი ჩემს საკჳდავად შენს სასტიკს სურვილს,
და ჯილდოდ ვარდსა მაძლევ, ოდეს შევსვამ თასს აღვსილს;
მაშ მაგის ნაცჳლად მასუნე ვარდს, შენთ ლაწჳზე გაშლილს
და მაშინ, გინა, სიხარულით შევსვამ თჳთ საკჳდილს!
რათ მინდა ღვინო, თუ ვერ გეტყჳ: გეტრფი მთვრალ ეშხით
ნუ მასმევ ღვინოს, უღვინოდ ვარ მთჳრალ შენის ეშხით!

***

ზოგჯერ, მდუმარე გიმზერ ოდეს ეშხით აღვსილი,
მრწამს, რომ ლაწჳთ ზედა გარდაგკრია ნუშის ყვავილი!
მაშინ მას ზედა დაკონების მკლავს მე სურვილი.
აწ გინდა მომკლა, გეტყჳ, თმენის არღა მაქჳს ძალი,
ისმინე, ვდნები, ცნობა არ მაქჳს, ვჴგიუდები ეშხით.
ნუ მასმევ ღვინოს, უღვინოდ ვარ მთჳრალ შენის ეშხით.

ტბილისი 1829.

## მ...

მნათობო, თჳთ შენ აღმიხსენ, რა მემართების, რასა ვჰგრძნობ,
როს გხედავ, რად ვჰსწითლდები, რად ვჰკრთები, ვშიშობ და
ვჰხარობ?
აშინ რათ ენა სდუმდების, როს შენთან უბნობას ვჰსცდილობ
რისთჳს ნაცჳლად სიტყჳსთა მხოლოდ ოხვრათა ვჰმეტყველობ?

მრავალ გზის, ვჰფუცავ, არ გნახო, მაგრამ ყოველს ჟამს გეძიებ!
ოს გხედავ, გულსა სასმილსა, მდუმარედ მყოფსა, აღმიგზნებ.
აშინ მე შმაგი, ყოველთა გარე ჩემს საგანთ ვივიწყებ;
ანა ვჰსწყევ შენთა სიტურფვეთ და ხან კი მათვე ვაღმერთებ...

მრავალ გზის, ვჰფუცავ, ვივიწყო და ვჰქმნაცა ნება გონების;
არამ, როს გხედავ, გონების რჩევა სრულიად არ მესმის..
ული ჴელმწიფებს და უფრო უძლიერესად შენ გეტრფის,
გულის მონად შექმნილი გონებაც შენდა მოჰფრინვის.

თბილისი 1829.

# გამოსალმება

ს—ს

ვითა ცის ნამი დილითა ჰბრწყინვალებს ახლად შლილს ვარდზედ
მარგალიტ-ცრემლი ცრემლსა ჰსდევს ნიშნად ჭმუნვისა შენთა
ღაწვთზე...
სატრფოვ! გშორდები და სიტყჳა ვერ მიპოვია სათქმელად,
ანუ შენთ ცრემლთა საშრობლად, ანუ ჩემ სანუგეშებლად!
ვერც ცრემლსა ვაფრქჳევ, ვერც ვუბნობ თჳსსა სიყჳარულს
თჳს ტანჯჳათ,
და მით ვარ უფრო უბედურ, რომ ვერა მოვსთქჳამ მსგავსად სხჳათ
ნამდვილი ტრფობა განა რა სიტყჳათ ემებდეს, ვერ ჰპოვებს
რათა გამოსთქჳას თჳს გრძნობა და მისთჳს ოხჳრით მდუმარებს
ესე არს საშიშ-შემზჭმელი, ცეცხლი უხილავ, უალო;
არ აჩენს გარეთ ნიშანსა, შიგნით გაოხრებს, ჵე გულო!
ტრფობა უძლურთ გულთ წყაროს ჰგავს, მთათაგან გადმოქა-
ნებულს,
რაოდენ ველზე შორსა ჰვალს, ეგოდენ დაუძლურებულს.
ესრეთი გული ან ცრემლით, ან განშორებით განაქრობს
თჳსსა სიყჳარულს, თჳთ ტანჯვათ და მერმე ნებით კი ლხინობს
რა ჩემებრ გული კდოვანი მიიღებს ეშხის ბეჭედსა,
დრო იმას ვეღარ შეჰმუსრავს, თუ არ შეჰმუსრავს თჳთ კლდესა:
გეტრფვი, ვიდრემდის ვუმზერ მე მზის შუქსა, ნათელს მთოვარისა
ვიდრემდის ოხჳრა გინ ერთიმშთომია ნიშნად სიცოცხლის!

თბილისი, 1831 წ.

# მირზაჯანას ეპიტაფია.

მუხთალს ამ სოფელს გსურს ვისაცა იყო ბედნიერ,
სიყუარულითა და ღვინითა ჩემებრ დაითვერ!
დაღუპე ეშხში და ღვინოში ყოველი სიმწარე,
რომ გზა ცხოვრების განვლო ლხინით, ვით მე ვიარე,
რომ შავ-ბედის წინ შეუპოვრად ხმა მაღლივ დაჰმღერ;
თვარა გონებით გინდ ცა მოვლო, ჩემებრ იქმნა მტუერ!

პეტერბურღი 1832.

# დავითს.

(ჟუკოვსკიდან)

მას უხაროდეს, ვისაცა ლხინი,
მაისის ვარდი, ხმა იადონის
და ეშხი, დღეთა ჩუენთა მაშვენი,
ვითარცა უწინ, აწც იამების;
იმედსა ჯერ ვინც არ უცდენიეს,
ვინცა სიხარულს დაჰსცქერის ოდენ,
ვის გული ტრფობით არ დაჰსჭკნობიეს,
და ოხურა, კვნესა მას არა ჰსცნობენ!
ვითა პეპელა ყვავილთ დაჰფრინავს,
მარად მხიარულ, დაუდგრომელი;

ივიწყებს ის, როს ზამბახს ჰსუნავს,
და ჰსვამს სიტკბოსა, ტურფად წამსა ქმნილი.—
ეგრეთ ნეტარ მას, გულისა ჭმუნვა,
დავიწყებითა ვინც განაქარვა;
ვინც ოხრავს დღესა, იცინის ხვალე,
და მისი ქსრედ მირბის სიცოცხლე!
მარამ ვაი მას, ვისაცა ღხინი,
მაისის ვარდი, ხმა იადონის
და ეშხი, დღეთა ჩუენთა მაშვენი,
უწინდელსავით, არ იამების!
ვისაც განექრო ბაგეთ ღიმილი,
ვინც უთხრა ოხვრით იმედს: «მშვიდობით!»
ტრფობისთვის ვისაც დახშო გული,
და მზერს სამარეს სიამოვნებით!..

პეტერბურღი, 1832 წ.

## ღ ხ ი ნ ი.

(მიბაძვა პუშკინისა)

მე იგი მიყვარს ღხინი, სად თავისუფლება მეფობდეს,
სადაცა გულ-წრფელობითა ყოველი მხიარულობდეს,
სადაც საღამოთ ცისკრამდის მხოლოდ დალიე ისმოდეს.
და ჯამი აზარფეშასა და ყანწი თასსა შეჰსცვლიდეს;
მეც ვსჭრეტდე ჩემსა სატრფოსა, ან მას ჩემი ხმა ესმოდეს,
და იგი ცისკრად ხვევნაში წარსულსა ღხინსა მყვედრიდეს.

პეტერბურღი, 1832 წ.

ისთვის დიდად მსურს გისმინო და ვიქმნა მე თჳთ მსაჯულად!
ა ესმა ესე ბულბულისა, შესმასა თავისუბურად:
ნ დაუსტვინა, დაჭმღერა, სან ზედ დაჭკვრესა საწყალად;
ოგჯერა ნაზად, ნაზადა, მისი ხმა მისუსტდებოდა
მაშინ, ვითა სასმე შორს სალამური, ისმოდა,
ხან ჴმა მაღლად რაკრაკით არესა განაღვიძებდა...

რა მისი განხდა ჴმა არეს,
მყისვე დადუმდა ყოველი;
ნიავი შეწყდა, შესწყვეტს
სხუათა ფრინველთაც ყლივილი;

ყემსმაც მისს დასდვა დუმილი, მის ჭმუნვის გამქარვებული,
ზავრს დაავიწყდა თჳსი გზა და შედგა მისი მსმენელი!
ლბულმა თჳსი გრძნობანი. თუ სიყუარული, თუ ტანჯუა,
ცა ვარდისგან მიღო, ყველა სიმღერით წარმოსთქუა.
ლოს დადუმდა. და მაშინ ვირმა ყურები დაუშჳა
და ჰრქუა:

! მართლად, შენი სიმღერა არა მოაწყენს მსმენელსა,
ამ კი მებრალები, რომ ვერ იცნობ ჩუტნისა მამალსა:
ტა მისგან რომ გესწავლა მის საკვირველი ჭანგები,
ინ მერწმუნე, რომ უფრო შეიქნებოდი საქები!
საჯუა ბულბულს რა ესმა, კინაღამ გული გაუსქდა;
რია აფრინდა საბრალო და ცხრას მთას იქით გადვარდა!
ღმერთო! ჩუტნეც დაგვიხსენ ესრეთის მსაჯულთაგან!

წინანდალი. 1832 წ.

# სოფლელნი და მდინარენი

(კრილოვიდამ)

სადაცა ერთსა სოფელსა
პატარას ხევში წყარონი ჩაუდიოდნენ ახლოსა.
მარამ ეს ხევი უჩინოდ ყოველს წელს აღელდებოდა,
და მაშინ იმა სოფელსა საშინლად გააოხრებდა:
ზოგისას ბაღსა ახდენდა,
ზოგსა სახლებსა უქცევდა,
ზოგისა ცხვარი, ქათამი, ზოგის წისქვილი მიჰქონდა,
და ესრედ მალად ყოველ წლივ ხარჯსა სოფლიდამ მოჰკრეფდა.
ბოლოს ერთს დღესა სოფლელნი,
მოთმინებიდგან გასულნი,
შეჰკრბნენ, იყვირეს, არჩიეს
და ბოლოს ასე გადასჭრეს,
რომ წყაროთ ბატონს შეჰსჩივლონ, — არზა მიართონ მდინარე
რომელიც მძიმედ, თავ-მდაბლად, განცხრომით ქალაქს ჩაუდ
მისგან კაცისა დაჩაგვრა არა ჰსმენია არა ვის!
— ჩუენს შეწუხებას წყაროთგან რა იგი ესრეთს მოისმენ
მათ შეჰსტუქსავს, წაართმევს და მოგვცემს დანაკარგსა ჩუე
ამა იმედით სოფლელნი საჩივლელად წავიდნენ,
და რა ახლოსა მივიდნენ,
ნახეს: რაც კარგი მათ ნივთი წყაროთგან იყო წაღებული,
სრულებით ყველა მდინარეს თჳთონ მიჰქონდა შუაგულ!...
მცირეს ხანს გაოცებულნი მწარედ სოფლელნი უმზერდნენ
მერე შეჰხედეს ერთმანერთს და თავ-დაკიდვით დაბრუნდნენ.
იქ სამართალი ვით ჰპოვოს საწყალმან, ანუ უძლურმან,
სადაცა ქრთამებს იყოფენ მწერლები მდივანბეგებთან?

ნოვგოროდი, 1832 წ.

# ნადირთა ჭირი

(კრილოვიდამ.)

ჯოჯოხეთის შინა ნაშობნი ქვეყნისა შესაძრწუნებლად,
ცათა წყრომისა ნიშნადა მოვლინებული ამ სოფლად,
ჭირი აღმოჩნდა ტყეებში, განერთხო ყველგან გესლი მის,
და დაფრთხნენ შიშით ნადირნი, შეუპოვარნი მანამდის,
ვერცა ხევებში, ვერც მთებში ვერა მპოვნელნი საფარის!
გამძლებულა სიკვდილი, ცელითა ყველგან მიმორბის
და უწყალოისა კელითა, ნადირთა, ვითა თივას მკის!
აღივსნენ მთანი და ხევნი მსხვერპლთაგან მისის სიმძაფრის,
და თვით იგინიც, რომელნი როგორმე ცოცხლად გადურჩნენ,
მარად წამს მლოდე სიკვდილის, ფეხებსა ძლივსა ათრევენ;
სახე იგივე აქვსთ ნადირთა, მაგრამ გულით კი იცვალნენ.
უბედურების დროს ესრეთ კაცნიც ამაყნი მდაბლობენ!
ვით ბერი დამშვიდებულა
და აღარ მტერობს ცხვარს მგელი;
მელა სოროში შემძვრალა,
მარხულობს და არს მლოცველი;
მადა შეჰკვრია ყველასა, აღარ ვის ახსოვს საჭმელი.
გვრიტნიც ერთმანერთს დაშორდნენ, გუგუნი მათი არ ისმის
თვით სიყვარული არ ვის არ აგონდება მათ შორის;
და მის სიცოცხლე რაღა არს, განუქრეს სიყვარული ვის?
ამ ვაების დროს მოიხმო ლომმან რჩევაში ნადირნი.
მოდიან, მოლასლასებენ, ძლივს კბილით სულის მჭერელნი.
შეჰკრბენ, და მეფის გარეშე დადუმებულნი ჩამოსხდნენ;

თუალ-ყური მეფეს მიჰმართეს და მისგან სიტყუას ელოდნენ.
«ჵე მეგობარნო! ჰრქუა ლომმა: მრავალ-გვარ შეცოდებითა
ცა განვარისხეთ ფიცხლად და გვჰსჯის ამ სნეულებითა.
შევვედროთ ღმერთთა, და ცოდვით ჩუენ შორის მეტი ვინც იყოს,
მან თავი თჳსი ნებითა ღმერთებსა მსხუერპლად შეჰსწიროს!
ეგებ მათ ჩუენზედ გამწყრალთა მოწყალეს თვალით მოგვხედონ,
გვისმინონ ლოცვა მხურვალე და რისხვა თჳსი შეჰსწყვიტონ!
ვის არ გსმენიათ, ჵე ძმანო, რომ უწინაცა, ბევრჯელა,
ღმერთების დასამშვიდებლად მსხუერპლი ასე შეწირულა?

და ესრედ, გულის სიწმიდით,
ყველამ ცოდვანი წარმოჰსთქოს,
ან უნებლიეთ, ან ნებით,
რაჲცა ვის შეეცოდოს!

ახ! არა ვმალავ, ჩემთჳსაც ეს აღსარება არს ძნელი,
მით რომ არც მე ვარ მართალი.
საბრალო ცხვრებისა ბევრჯელა, — აბა რისთჳსა? — უბრალოდ
ტყავსა ვაძრობდი უწყალოდ;
და ხან, ახ, — წყეულს ეშმაკსა ვინ არა შეუცდენია? —
მწყემსებიც გამიგლეჯია!
და თავი ჩემი ნებითა აქ მსხუერპლად მომიმზადია.
მარამ ჰსჯობს, რომე ჯერ ყველამ ჰსთქუას ცოდუა თჳსი რიგრიგად,
და ცოდვით იყოს ვინც მეტი, ის შეიწიროს აქ მსხუერპლად,
რომ ღმერთნი უფრო არ გასწყრენ მართლისა სისხლის დათხევით.»
— ჵე მეფევ ჩუენო კეთილო! ჰრქუა მელამ კუდის მოქნევით:
მეტისა სიკეთისაგან ეგე გგონია ცოდუად!
თუ სინდისსა მივდიოთ, აქამდის მშივრებს დაგვხოცდა;
და ამასთანა, ბატონო, მართალსაცა მოგახსენებთ,

ამ ცსვრებსა კიდეც უხარისთ, როს თქჳენ მათ შეჭმას ინებებთ.
და მწყემსებზედ კი ახია;
უკუდო ხალხს თჳს თავი ჩჳენს მეფედ დაუსახია!—
დუმდა მელა. მის შემდეგ სხჳა პირ-მოთნენი ვინც იყჳნენ,
ლომს კრძალვით მოახსენებდნენ,
ამ მის ცოდჳანი მსუბუქნი სათქმელად არც კი ეღირნენ.
ნე ტიგროსმა, და დათვმა, და მგელმა,—ყველამ რიგ-რიგით
როდ თჳსნი წარმოსთქვეს შეცოდებანი სიმშვიდით.
მარამა მათნი საქმენი,
თჳთ უსჯულონი, უღმრთონი,
ვერც ერთმა ვერა გაბედა,
გამოეცხადათ ცოდვადა,
სულ, ვინც იყვნენ ან კბილით, ან კლანჭებითა ძლიერნი,
ა თუ მხოლოდ გამართლდენ, კინაღამ გახდნენ წმიდანი!—
ვმდაბლად წამოიღმულა, რა რიგი ერგო კამბეჩს მშვიდს:
ეც ცოდვილი ვარ! რა მექმნა? შიმშილობისა წელიწადს,
ვერსად ვჰპოვე საჭმელი მაცდინა წყეულ ეშმაკმა,
მღჳდლისა თივის ძირიდამ ერთი მოვგლიჯე მე ლუკმა.
ესე ესმათ, შეჰყვირეს მგელთა, დათვთა და ტიგროსთა:
-ოჰ, ეს უსჯულო, ეს უღმრთო, რას ამბობს, არა გესმისთა?
ლა გვიკვირდეს აბა, რომ ცა ჩჳენზე იყოს გამწყრალი?
ე გაგონილა სხვის თივა, და მერმე მღჳდლისა შეჭმული?
ა რქიანს ეს ქჳეყანა სულ ცოდვითა აუვსია,
უნდა მსხჳერპლად დაიკლას, მაგისი ცოდვა მეტია,
ამ ხორცნი ჩჳენი და ზნენიც სრულიად მათ განიწმინდნენ,
ნჰქრეს ეს სენი, და ღმერთნიც, ჩჳენზედ გამწყრალნი დამ-
შვიდდნენ!

ქსრეთ ნადირთა გასაჯეს,
და დასაკლავად საბრალო კამბეჩი წამოაქციეს!
ამბობენ, ვითომც ბევრჯელა კაცებშიაცა მომხდარა,
რომ ვინც ყოფილა მშვიდ-წყნარი, ის დამნაშავედ გამხდარა

ნოვგოროდი, 1833.

---

## მუხამბაზი

არავისთჳს მე დღეს არა მცალიან,
სალომესთან სადილად მეძახიან!
ამას ვამბობ, მე ბეყანა მკერვალი,
ქალებისა ლხინი და თაიგული,
შვენებითა, საცა ვინ არს ქებული,
მისი კარი ჩემთჳს არის გაღებული;
საცა მივალ, თან მიმაქჳს სიხარული.
მარამა დღეს არავისთჳს მცალიან,
სალომესთან სადილად მეძახიან!

***

მისი სახე, ვით მთვარე გაბადრული,
ბროლის მკერდზე მზის შუქი მოფენილი,
„ჩემო ბეყან!“ მისგან სინაზით თქმული,
როს მაგონდეს, როგორ არ მოკჳდეს გული,
ესდენ ხანი მისთჳსა დადაგული?
ამიტომ დღეს არავისთჳს მცალიან,
სალომესთან სადილად მეძახიან!

ხშირად ხილვა ეშხის ძალსა გვაკლებენ.
მისთჳს გუშინ თუმცა სურვით მელოდნენ,
მარამ, გინა ცრემლებითა აივსნენ,
არც დღეს გავალ გარეთუბანს, *) მომწყინდნენ:
სხჳა ტურფანი მარად მათ მაყვედრებენ...
მარამა დღეს არცა მათთჳის მცალიან,
სალომესთან სადილად მეძახიან!

***

ვით პეპელა სხჳა და სხჳასა ყვავილსა
ზედ დაჰფრინავს და ჰსვავს მათგან სუნნელსა,
მეცა ზოგთან შევექცევი სადილსა,
ზოგთან ვახშამს, ხშირად ღამესაც მთელსა...
ჩემს ქეიფში ვინ იყოს ამ სოფელსა?!
მარამა დღეს არავისთჳს მცალიან;.
სალომესთან სადილად მეძახიან!

***

ქალებზე ვარ ასე ფიქრით მოცული,
ხელში ქობა დამრჩების მოუკლელი!
მებლანდების თვალებში ზოგის წელი,
ზოგის ხვევნა, ზოგის ალერსი ტკბილი!
ნეტარ მათთან ლხინში ამომხდეს სული!
მარამა დღეს არავისთჳს მცალიან,
სალომესთან სადილად მეძახიან!

---

*) სადაცა ჰსცხოვრებდენ ორბელიანნი

ბედმან დაამხო რაყიფნი დიდ-კაცნი, *)
მარამ მე კი ისევ ის ვარ ბეჟანი,
რომელს დამრჩა ბურთი და მოედანი.
ახ, რა რიგათ ვიჭიკჭიკებთ დღეს ორნი!
შახტი ბეჟან, შენია დრო და ლხინი!
დამეხსენით, დღეს მე არა მცალიან,
სალომესთან სადილად მეძახიან!

ავლაბრის კაზარმაში, 1833.

## სავათნავას მიბაძვა

სავათნავა მქვიან, არუთინა ვარ;
ანბანი ვიცი სიტყვით წინა ვარ!
სავათნავა.

ჭიანურო! მაღლად, ტკბილად დაუკარ!
ვინცა გაქოს, თავი მდაბლად დაუკარ,
შენსა მტერსა კბილის კრიჭა აუკარ!
სინიკო, სინკიკო!

***

ავი კაცის წვერი წყევით აივსოს,
ჩემი თასი წითელ-ღვინით აივსოს;
ჩემი გული კჰალად ლხინით აივსოს!
სინიკო, სინკიკო!

---

*) კაზარმობას.

ერთხელ მეც მეჭირა სიამის ვარდი.
შავმან ბედმან უცებ დამკრა, გავარდი,
სოფლის გარეს, ვაის მხარეს გავარდი!
ხინიკო, ხინკიკო!

* * *

უზრუნველად დავმღერდი ერთხელ მეცა...
გესლით სავსე აწ გულს ისარი მეცა...
ნუგეშადა პურობილსა მექმნას მე ცა!
ხინიკო, ხინკიკო!

* * *

ჭიანურო! აქე გული მის მინა,
ვის ვეტრფოდი სულით, და მანც მისმინა...
სიამით აწ ვეღარ ვნახო მის მინა!
ხინიკო, ხინკიკო!

* * *

მაგონდების რა მისს ღაწვზედა ხალი,
სიყუარულის გულს მეგზნება, ახ, ალი!
მოვშორდი, ვჴსცან ოხვრა, კვნესა ახალი,
ხინიკო, ხინკიკო!

* * *

სიყუარული არს თავის დავიწყება!
ვაის უფსკრულს ვგდივარ,—მაგრამ გონება
მაინც მასვე შორით ეტრფიალება.
ხინიკო, ხინკიკო!

***

ბედმა ადრე მწარე ფიალით მასვა;
არ იკმარა, გულს ლახვარი დამასვა!
არ მაკმარა,—განმაშორაცა მას, ვა!
ხინიკო, ხინკიკო!

***

ბედო! ჩემის ლხინის ძაფი რად ჰსწყვიტე?
ჭიანურო! შენც სიმი რაღად ჰსწყვიტე?
მაშ შენც, ჩემო თავო უბედო, ხმა ჰსწყვიტე!
ხინიკო, ხინკიკო!

***

მოეც მუშაკო, *) ბულბულად ქებულო,
ჩემს ჭიანურს ადგილი წალკოტს **) ბოლო,
ეგებ ვინმე ჰსთქვას: ვაჲ გრიგოლ საბრალო!
ხინიკო, ხინკიკო!

ავლაბრის კაზარმაში პყრობილი, 1833.

---

*) გიორგი თუმანიშვილი, რომელიცა თავის ლექსებში იწო
მუშაკად.

**) „წალკოტი მრავალ ყვავილოვანი,“ ლექსების წიგნი, რ
ლიცა აქვნდა მას.

## სალომეს, ბეჟანა მკერვალის მაგიერ *)

სიხარულო, შვებავ, ლხინო,
ახლისა აკვნის გუშაგნო! მზეში შამოდით!

***

თქჳნ, სულსა აღნაგსა ახლად,
დაჰფრინვეთ თვალ მოულულად! მზეში შამოდით!

***

მე, მისსა მშობელს ვენერას
დაუმღერ ტკბილსა „მზე შინას!“ მზეში შემოდით!

***

გიმღერ, გალხენ—განისვენო,
ჩემო მაკრატლის გვირგვინო! მზეში შამოდით!

***

ეჭვი ვის აქჳს. მამა ვინც არს?
ჩემსა ნაკერს ვჰსცნობ ფრიად შორს! მზეში შამოდით!..

***

ნუ გწყინს კარდო, ყვავილთ მეფავ,
რომ ზოგჯერ იასაც ვჰსუნავ! მზეში შამოდით!

***

რა ვჰქნა, გულს ვერ ვეტყვი უარს:
ვარდიც მიყვარს, იაც მიყვარს! მზეში შამოდით!

---

*) სოფიოს დაბადებაზე (შემდეგ ბარონესსა ნიკოლაი).

მარამ რაყიბთ ვჭმზერ შენთან როს,
მწვავ, გულზედ მისმენ ცეცხლს-უთოს! მზეში შამოდი

***

შენ სანთელი, მე ფარვანა!
დაე: დაიწოს ბეჟანა! მზეში შამოდიო!

***

სიყვარულმა მათქმევინა;
თვარა მე ვინ,—ლექსი ვინა? მზეში შამოდიო?

ვილნა, 1834.

## ნ...

ჵ საყვარელო, ვის მიერ მკვირფასად მიღირს სიცოცხლე
ვინც დღენი დამწარებულნი წყნარის ღიმილით მინათლე!

ვიდრემდის ტანჯვით ვითმენდე შენგან სიშორის სიმწარე
და ვიდრე ცრემლით შორიდგან ვუმზერდე სასურველს მხარე

სანატრელ ჟამი შეყრისა, როს მოვალს სიტკბოებითა;
ცამ შეჭმუხვნილმან ჩემდამო, როს მოიდაროს შვებითა?

ან გული რად ვერ გივიწყებს ჩემის სიცოცხლის შვენებას
რომ უგრძნობლობით ქჳა ქმნილი ვერ სცნობდეს თჳსსა ობლობას

თჳთ სიშორეცა შემქმნა ეშხის ცეცხლზედ ცეცხლ დამმართი
მიკვირს, ესდენ სიყვარულსა ვითა იპყრობს გული ერთი?

გსცან, ტანჯვით არა გამქრალა გულს შინა ტრფობა ნამდვილი,
არა აქამდის სიმწარის შემაშრებოდა მე ცრემლი!

ტანჯვა არს მზრდელი ტრფობისა, დამბერველ ეშხის ცეცხლისა,
ნჯვა არს ვალი და მსხვერპლი უზომო სიყვარულისა.

რიგა, 1835 წ.

## ჩემს დას ეფემიას.

ჩემდა ნუგეშად, ჩემდა შვებად, სასიხარულოდ,
ენად გულისა, უდროოდ მწარ დამჭკნარისა,
ა სასურველო! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ,
განმასვენე გჳტთებათაგან ბოროტ მხჳტდრისა!—
ვრების ბნელს გზას შენ მინათი შვების ვარსკჳლავით,
ის ღიმილით შეჭმუხვნილი სახე მინათლე,
ი ალერსი მშვიდი, წყნარი, მიხარის შორით,
ულ დატანჯულს მენატრების კვალად სიცოცხლე!

სიცოცხლე ჩემი, ძლივს განშლილი სასიხარულოდ,
ვ დილა ჩემი, მზისა ნათლით გაბრწყინვებული,
ჳწნებდნენ მე ამა სოფლის ყჳავილთა მხოლოდ,
სლად ლამპარს აღმინთებდა გულს სიყვარული,
მლისა სხივნი თჳთ ეკალთა შეჰქმიდენ ვარდად,
მლით აღვსილი არა ვჰსცნობდი ჭმუნვისა ცრემლთა,
ობართ შორის უზრუნველი დავმღერდი მარად

და სიამითა უმზერდიცა დღეთ მომავალთა!
აწ სად წარვიდნენ ნეტარების წამნი ძვირფასნი,
რომელ აჩრდილიც არა დაჰშთათ ჩემად ნუგეშად,
რომ ჩემსა გულსა მოსეულნი ჭმუნვათა დასნი
ესრედა ჰგლეჯენ უღონოს მსხჳერპლს, შეუბრალებლად?

ჳცებ გრიგალმა უბედობის დამქროლმა 'ესრეთ,
რომ ცა, მომფენი ჩემდა ნათლისა, ჰფარა ღრუბელთ ქჳეშ
სიტკბოს ფიალი წარიტაცეს მის წყეულთა ფრთიეთ
და დამცა უფსკრულს კაებისას, უმწედ, უნუგეშ,
სადაც ოხჳრანი, ამოსულნი გულისა სიღრმით,
არვის ესმოდნენ და ჰქრებოდნენ ზღუდეთა შორის!
სადაცა ჰსწვავდენ, ვითა ცეცხლი, ღაწჳთ ცრემლნი დენით
და მათ არ ჰსწყვეტდა არავისი კელი ნუგეშის;
სადაც ვერ ჰჰსცნობდი ცისკრის ბრწყინვას, ვერც მწუხრის ჟამსა
სად დღე უნათლო იყო ღამედ, ღამე—უვარსკჳლავ
და სად სიკჳდილსა ვინატრიდი, ვით ცის ნუგეშსა,
თუმცა სამარეს შეედრების, სადაცა ვიყავ!
მწუხარების დროს ჟამნი მსწრაფლნი ჰვლიან ნელიად,
და უბედურის სახეზედა ღრმად ჰბეჭდენ თჳსთ კჳალთ,
არღა აჰყვავდეს გული ჩემი ორგზის ამ სოფლად,
მახვილი გულით ვერ აღჰგლიჯონ შემდეგ სიხარულთ!

ვიყავ უსაგნოდ, უიმედოდ! მარამ ოდესმე
გულსა რაღაცა გაელვებით განახარებდა...
ან დაჳიწყებით, ან შებრალვით წარსულ სიამე
თითქოს ჩემს გულში სურვით ნაცნობს, ძველს კჳალს ჰპოებდა
თითქოს ჰსცდილობდა განბნევასა გულის სიბნელის

კით თჳსს სადგურს, ჩჳეულებრივ მუნ დამკვიდრებას!
რამ მით უფრო გული გრძნობდა ფასს დაკარგულის,
სულთა დღეთა იგონებდა რა ნეტარებას.
რედ აშვენებს სიტურფითა ვარდი სამარეს,
რედ მშვენიერთ ბაგეთა ზედ იელვებს ღიმი.
უმცალა გულში უზომოსა ჭფარავს სიმწარეს;
რედ ვარდს დამჭკნარს დაეცემის უდროდ ცის ნამი!
უჩინოდ ჩემთჳს მდინარებდენ თჳსითა წესით
ღენი და თვენი, და ვერ ვჰსთვლიდი მე მათსა დენას.
მაშრნენ ცრემლნი, მარამ ჭმუნვათ არა განქარვით,
ა თუ ვისგან მე ვისმენდი ნუგეშის-ცემას.
ა! წყჳდიადსა მას სადგურსა სხივნი ნუგეშის.
რ მოეფინნენ საშჳებელად გულსა უბედურს.
ა მას, ვისცა ჰსწამს ნუგეშად, ვით მე მიმაჩნის,
ამ შევეჩვივე მწუხარებას და ვაის სადგურს!
უნვისა ცეცხლით გულსა დამწვარს აგრილებს ცრემლი:
მაშრნენ ცრემლნი, და ესეცა შვება მომაკლდა.
მის გონება მექმნა ჩლუნგად და ქჳადა გული,
ან რაც ვიყავ, ან რაცა ვარ, ყველა მავიწყდა...
რამ მახსოვს კი, ერთ გზის მესმა ჭიკჭიკი მერცხლის.
სთქჳაა, რომ მართლივ მრწამდა იგი ხმად მეგობრისა,
ერ სოფლით ჩემს ნუგეშად მოვლინებულის,
მის პასუხად მსურდა მეცა თქმა სიმღერისა!
რამ შემზარდა, რა ნაცვლად კმის განხდა ხრიალი,
მედელთაცა დაყრუებულთ წარმოსთქჳეს ბანი!
ა ეს უცნობი იყო ველურ და საზარელი:
ოცდი, ვჰსდუმენ და კმა ჩემი, მევე ვერ ვჰსცანი!...

მის ჟამით ვიყავ, ვით სამარეს, უგმოდ, უსიტყჳოდ,
ვიდრე დასასრულ ვაების ბჭე არა განმიღეს.
პირველად მზის შუქს თვალთ ვერ უძლეს, დავშთი უნათოდ,
მერე სიამით მიმოვხედე გარეშე არეს:—
მდინარე იგი, იგივ მთანი, ნიავ მომთვენი,
წალკოტნი, ველნი უწინდელებრ აღმწჳანდებოდნენ;
იგივ უღრუბლო, უცჳალებელ, ცა ნათლოვანი,
მხიარულ ყრმანი თამაშობით მოიმღერიდნენ!
გამოვემსწრაფლე სამშობლოსას, სადაც ვჰგონებდი,
წარსულთა ტანჯჳათ მწუხარებათ დავივიწყებასა;
მარამა, იყოს წყეულიმცა ესრეთი ბედი.
მშობლის ხვევნის წილ შევჰხვდი, ახალს მუნ ვაებასა!...
ვისგან ნუგეშსა მოველოდი, მისი სამარე
თვალთ იხილეს და არ დაბრმავდნენ მუისვე ეს თვალნი!
უგუნურად დავჰმზერდი მის საფლავს მდუმარე,
და გლახ გულისთჳს სანუგეშად ვერ ვჰპოვე ცრემლნი!
ვისგან და ვისთჳს განისაროს აწ გულმან ჩემმან?
ვისა შევჰბრალდე, რომ ეგებ მით გული განვჰგრილდეს?
ღრუბელი ჭმუნვის განმიბნიოს აწ ვისმან ღიმმან?
უდროდ დავბერდი და ცხოვრებით გული როს დასტკბეს?
სიყუარულისა სურვილი მას ვერ დაუთრობს გულს,
მისი სიცოცხლე ველარ დაჰსტკბეს მართლ სიხარულით,
ვინც სოფელს მუსთალს, საამურის ოცნებით აღვსილს,
უმზერს, ვით აწ მე, მიუნდობელ, გამოცდილ თვალით!
სვალე არღა მრწამს, ვით ღამეში მაცთური სხივი.
ვინ ჰსთქუას: ხვალეცა ვიქმნები მე, ვით დღეს ბედნიერ?
ვისწავლე ესე, როს განმექრო ბედის ვარსკჳლავი,

აწ თუ განვლის დღე მშვიდობით, მწუხრის პირჯვარს ვსწერ!
მარამ ნუგეშად, ჩემდა შვებად, სასიხარულოდ,
ლხენად გულისა, უდროოდა მწარ-დამჭკნარისა,
ო სასურველო! ამა სოფლის შენ დამშთი მხოლოდ,
განმასუჳნე კუშოთებისგან ბოროტ-მხედრისა!
რისთჳს ვლოცავ ცას, მაკნი დღენი, ჩემთჳს ჭშთომილნი,
შეჭსწუდნენ, ვიდრე კუალად ჩემთა თვალთ არ გიხილონ;
მაშინ, ოდეს [illegible],
მობლიურ მ. წა კელთა შენთა გულს დამაყარონ!
რიგა, 1835 წ.

---

## მუხამბაზი

სულით ერთნო, მოლხინენო, აწ შეკრბით
თასით, ჯამით, ყანწით, აზარფეშებით!
ლხინის სუფრას მოჭვივნეთ ყვავილებით;
ალავერდსა *) დასვით თარით ნაქებით,
ყოჯა ბულბულ ( კბილის ხმით ალულუნეთ,
დიმპლიპიტო დაჰკარ—დაარაკუნეთ!!

***

ლხინის პაპა **) სასით არაბისტნელი,
ღვინისა დ ეშხისათჳს შექმნილი,

---

*) იყო გამოჩენილი მომღერალი მეფეებისვე დროს.
**) მირზაჯანა მადათოვი.

ტოლუბაშად დასვით ქუდ ჩაკეცილი!
მის შკოლაში ვინ არა ვართ ნასწავლი?
ორმოცის წლის რომ შეიქნეს, გააგდეთ,
დიმპლიპიტო დაჰკარ—დაარაკუნეთ!

***

სიჭაბუკე, ვით მაისი, მშჳენივრად
აღყვავდების და მისებრ ჰქრების ჩქარად:
ვაჲ, ვისთჳს ეს დრო განვლის უგრძნობლად,
და ცის ალით—ეშხით არ ჰყოფს გულ დამწვრად!
სიჭაბუკე არს ლხინის დრო, მერწმუნეთ:
დიმპლიპიტო დაჰკარ—დაარაკუნეთ!

***

ვითა ბაღი უყვავილოდ, უვარდოდ,
არა მიყვარს ლხინი უეშხ-უსატრივოდ!
მოდი, მნათო, სავსე თასი სალხინოდ
ჩაგვირიგე, თუგინდ ისე, უპრომშტოდ:
შენი თასი არს სადგური სიამეთ!
დიმპლიპიტო დაჰკარ—დაარაკუნეთ!

***

ვისთა დღეთა მწუხრამდის ნათლად განვლეს?
ვისი მზე არ ღრუბლისა მიჰფარვიეს?
ვისი ბედის კოჭი სულ ალჩუ დაჯდეს?
არ მიენდოთ დამღუპავს, წყეულს სვალეს?
დღეს მოხარულთ დღესვე ისიამოვნეთ,
დიმპლიპიტო დაჰკარ—დაარაკუნეთ!

***

მიმოხედეთ, რავდენთ ვეღარ იპოვნით
ერთად მსხდომთა, მოხარულთ თქჳენთან ყოფნით.
სად არიან? ზოგნი შორს ვლენან ოხვრით;
ზოგნი უდროდ განვიდნენ სოფლის ლხინით!
ამ თქმაში რად, ცრემლნო, თასში შთაცვინდით
და ჭირთ მდევნი, ღვინო ტკბილი დამწარნეთ?...
დიმპლიპიტო დაჰკარ—დაარაკუნეთ!

რიგა, 1855 წ.

---

## ს... ს...

ვარდი ხარ?—არა!
ზამბახი?—არა!
მარამ შენთ ღაწჳთზე აღყვავებულნი,
არიან ორნივ შეზავებულნი!
ნეტარ მას ბულბულს, ვინც შენს ვარდს, ზამბახს
ზედ დამღერს მარად, ვით ეშხის ბანაკს;
ვინც დასუნოსა
თმა ლადანსა,
დაუდევნელად ბროლს მკერდზე გაშლილს;
ანუ შეეხოს
შენს წელს კიპაროზს,
სიყჳარულისა სარტყელით მოვლილს!

სიცოცხლე მისი,
ვით მაისი,
ნექტარებითა აჰყვავდეს ახლად,
და ვით დილა გაზაფხულისა საამოდ განვლონ მის დღეთა ნათლად
ეგ ორნი თვალნი,
ორნი ვარსკვლავნი,
ეშხის სადგურნი, ბრწყინვენ გონებით!
მათ ტრფიალებით
მიჰმართავ ვისცა,
განიხსნას მისთვის სისარულის ცა!
შენთა სიტურფეთ,
როს გულნი მოტრფეთ,
ვით ფარვანანი გარე დაჰფრინვენ,
და შექცევაში,
სიამის ზღვაში,
გონება გართულს როს მივიზიდვენ,—
მე განშორებულს,
გულ-გამწარებულს,
მაშინ გონებით თუ დამივიწყებ,
არ შევინანებ:
ოღონდ კი შენს გულს,
ზოგჯერ ვახსოვდე ჩემდამო ერთგულს!

თბილისი, 1837.

## მ...

(სძგერს გლახ გულის ხმაზედ).

ვანის-მცემელთ რის გუნდი თავსა გევლება ფარვანებრ,
და გსურს ყოველთ მათგანსა ეჩვენებოდე მშვენიერებრ?

უგულოთა ქებათა რად ისმენ სიამოვნებით,
მ ესრედ ფრიად ჰხარობენ შემცდარნი იმედოვნებით?

დაკარგულს მე მათ შორის გულს მხვდებიან იჭვნი ისრად;
ა სიტყვით, არც მოხედვით, არა ღირს მყოფ სანუგეშად,

მ მით ეგებ სულის ღელვა, ესრედ მტანჯი, დამიწყნარდეს,
მაგებით სიყვარულის ძალა ეგებ დამიმშვიდდეს...

უწყი, თუ ალი ტრფობის ვითარ ძლიერ გულს მეგზნების!
უწყი, თუ მას ჟამს ვითარ სული ჩემი იტანჯების!

რამ გიცნობ, მისთჳს მწამხარ... კჳალად ლხინი გულს მეწევის
რით ვზივარ, შორით გიმზერ, შემოგხარი და მეცინის!

თბილისი, 1837

## ჩემი ეპიტაფია.

როს ვიყავ ცოცხალ, ვითა შენა, მკითხველო,
მეცა მიყჳარდა, მეც ვჰსტიროდი, ვილხენდი
და დავიქრებით დავჰმზერდი სავლავებსა!
მერგო რიგი, და აწ ჩემს სავლავს დაჰმზერ-შენ!
ამ ზენა ჰსჯულსა ვერა არსი ვერ აჰსცდეს:
ვერც კელმწიფე დიდებისა გვირგვინით,
ვერც გლახაკი შემოსილი ძონძითა.
ვერც სიჭაბუკე შვენებითა შემკული
და ვერც მოხუცი დალალული სიცოცხლით!
ყველა იცჳალოს, ყველა მოკჳდეს, დამიწდეს,
და მხოლოდ წრფელი სული, წმიდა, ცხოველი,
მღჳთისადა აღვიდეს ნაწილავი მღჳთაებრი!

გორი, 1839.

* * *

როს გხედავ, მნათო, ღიმილით ჩემ კერძოდ წარმოვლენილსა,
ვივიწყებ ყოველს სიმწარეს, ბედისგან მოვლინებულსა;
სულისა ღელვა მშვიდდების, გული ჰგრძნობს კჳალად სურვილსა
და ვნანობ, მიწყევიეს თუ სიცოცხლე გამწარებულსა!

გორი, 1839.

## ალბომში დრ. ოპ...

შეჰსტრივი საღამოს,
ტკბილ-სუნნელ-მყუდროს,
მის სიბნელესთან სინათლე რეულს;
ცას ვარსკჳლოვანსა,
ლაჟვარდოვანსა
და მორით კავკაზს სახე-დიდებულს!—
მე მდუმარებით
ვჰმზერ გაოცებით
შენზე მთოვარის შუქსა მოდგმულად,
და ღამე ესე,
სიტურფიით სავსე,
მრწამს, რომ შენგან არის დაშვენებულად!
მრწამს, ჩჳჱნის ცისა
მშვენიერისა,
შენ ხარ ვარსკჳლავი, მოსული ქჳჱყნად!
მან ინეტაროს,
ვის მოეფინოს
გულს შუქი შენი ტრფობისა ნიშნად!
— მრწამს, ცის ნათელი,
ვარდის სუნნელი,
ერთად რეულნი სულად ქცეულა,
და შენს წმინდა გულს,
სიკეთითა სრულს,

უმანკოს, წრფელსა, დამკვიდრებულს!
ეგ ჩემი მკჳლელნი,
ზილფებნი-გველნი,
ვინ დაადგინა ვარდ-ლაწვთა მცველად,
რომ დღე და ღამით,
ესრედ განცხრომით
ჴელმწიფობენ ჩემ თვალთა მწველად?
ნეტა ვის მისცეს
ბედმან მხჳტდრი ეს,
რომ გარდაშლიდეს მაგ გველთა-მცველთა,
და ზედ დაკჳდომით,
სულ ამოხდომით,
ვარდთ დაგეკონოს, ლაწუთზე განშლილთა?
ანუ ეგ თვალნი,
ელვა მოსილნი,
ვისა უმზერენ მინაზებულად?
ან ვინ შეგეხოს
შენ წელ-კიპაროზს,
ხან ნიავებრ მსვლელს, ხან ხელმწიფურად?
როს მშვენიერთა,
ბაგეთა ვარდთა,
განაღებ მღერად თვალთ ზეახილვით,
მაშინ ნათელი,
ცით მოვლენილი,
გვირგვინოსან გყოფს თავს გარმოფენით!
მაშინ მეც მესმის
ჴმა ანგელოზის,

სულის, გონების ცადა აღმტაცი!
არ ვიცი, სად ვარ!
გულ-ტკბილად კი ვარ,
ვჰგრძნობ ამ სიტკბოსა... ეს მხოლოდ ვიცი!
მაშ უგრძნობლობით,
გულ-გაქჳავებით,
ნუ დააბნელებ ნიჭთა ციურთა!
უსიხარულოდ,
უსიყვარულოდ,
რა სანატრელ არს სიმრავლე დღეთა?
მაშ რამ გვახაროს,
რამ გვანუგეშოს,
ან ჭმუნვის ცრემლი ვინა მოგვხოცოს,
თუ სიყჳარული,
ზე-გარდმო მადლი,
ღჳთისა კურთხევად არ მოგვევლინოს?
შენსა მელექსეს
მაქჳს ვედრება ეს,
რაც ვერ ვჰსთქვი ენით—მიხვდე გულითა!
ჵ შორს კავკაზსა,
ჵ მეც მუნ მყოფსა,
ნუ მოგვიგონებ გულ-სიგრილითა!

გორი, 1840.

***

ვინცა გნახოს, კჳლავცა გნახოს,—არ იკმაროს, კიდევ გნახო
თუ მოგშორდეს, ცრემლით გძებნოს, და რა გპოვოს, მან გაღმ
მისი სიტყჳა, მისი ფიქრი, თუ არ შენდა არსად იყოს; |თო
შენთან მის დღე ბრწყინვალებდეს, უშენოდა დაბნელოს!

გორი, 1840.

## საღამო გამოსალმებისა.

მზე ჩაესვენა: მის შუქი გამოსალმის ყამს კავკაზსა,
თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა!
ზუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი,
ჰსხედან, ვით დევნი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნ
მა... კლდოვანთ გვერდთა შავად ღრუბელნი ზე დაჰსწოლია
და მრისხანებით ქჳეყანას წარღჳნით ემუქრებიან.
გაზაფხულისა ველითა ტყე შემოსილი სიმწჳანით
მთიებისა კალთებს შეამკობს სატკბო სუნნელთა მოფენით;
წყალნი მთიით დაქანებულნი, ალმასებრ უფსკრულს ჰსცვივიან
თერგი ჰრბის, თერგი ჰღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!

***

შეწუხებული ვუმზერ გზას და მასზე ეტლსა მიმსრბოლ
მომტაცსა ყოველის კეთილის, რაცა გჳაქჳს ამა სოფელსა,—
რაცა გვიშვენებს სიცოცხლეს ზეციურისა სხივითა
და აღგვამაღლებს ამ სოფლით სულისა აღმაფრენითა!

იხარ სატრფოვ? მშვიდობით! მარად დღე ჩემი კურთხევა
მიმართ შენთჳს მექნება, ვიდრემდის სული მელევა!
ა აამონ აწ თჳალთა გული შენისა ხილვითა;
ვიდეს ჩემი სიცოცხლე უშენოდ შრომით, ზრუნვითა!

***

ლი ჭრბის...სატრფო მშორდების...თანა ჰსდევს ჩემი მას სული.
ზერ... შორს ძლივღა ჰსჩანს... აღარ ჰსჩანს... რაღასა ვუმ-
ზერ შმაგ-ქმნილი?
ორის ნისლმან მიჭფარა თვალთაგან ქტლი მიმსრბოლი,
გულით ოხჳრა სიმწარის აღმოუტევე უნებლი..
იდობით! ვინცა დამატკბე სიცოცხლის ნეტარებითა,
ვისთჳს გული მიკჳნესის, სული ჰსწუხს განშორებითა,
ხილვა არღა შემმოსავს სიხარულისა ნათლითა,
განმასვენებს მწუხარეს ალერსის ჴმითა ტკბილითა!

***

მარამ ამ სოფელს, შენ გარდა, ვინა მყავს მანუგეშებლად,
მ შენც განმშორდი, დამტოვე მწუხარებისა მე მსხუერპლად?
ველ, წარმტაცე ყოველი საამებელი სულისა,
ვინ განმიღოს აწ კარი ბედისა დაკარგულისა?
მე უგუნურს რად მრწამდა ბედისა დაუსრულება?
ავშთი მარტოდ... მშვიდობით! შენს გულს ნუ ჰშორდეს მშვი-
დობა!
მწუხარება სულისა, არ აქჳს ნუგეში რომელსა,
ობს ენა ჰსდუმდეს, კმა შეჰსწყდეს, მოთქმით რა ერკოს
გულ-წყლულსა?

შეღამდა... მარტო ვჰჭვრი ჭმუნვით, ჩემი ჩივილი ვის ესმის
დაყრუვდა არე... მხოლოდა კმა ისმის ზოგჯერ გუშაგის.
მხოლოდ ჰსჩანს, მთანი მდუმარედ აყუდებულან ცათამდის,
და ყაზიბეგსა საამოდ ზედა ვარსკჳლავი დაჰნათის!
წყალნი, მთიით დაქანებულნი, უფსკრულსა იკარგებიან,
თერგი ჰრბის, თერგი ჰღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!

ვლადიკავკაზი. 1841, მაისის დღესა.

---

***

ჰეი გონებავ, დაივიწყე ჩემ სანუგეშოდ,
რაც იყო—იყო, ნუ იგონებ დღესა წარსულსა:
მის მოგონებით მხოლოდ გულსა მიკლავ უწყალოდ,
და ფუჭს სიცოცხლეს მაწყევლინებ გამწარებულსა!

თბილისი, 1843.

---

19) მიბაძვა. პუშკინისა

~~Даръ напрасный, даръ случайный.~~

სიცოცხლევ ფუჭო,
უბრალო ნიჭო,
რად მოუცისარ ჩემთჳს წყნასა?
და თუ მიწოდა
არსით სოფლადა,
რასათჳს მიმცა მსხუერპლად ტანჯუასა?
რად მომცა სული,
ვნებით აღვსილი,
გონება ეჭვით შეშფოთებული.
და აწმყო—არად,
წარსული—სიზმრად
და მაცთუნებლად თჳთ მომავალი?
ანუ საგანი
რა არს, ვერ ვსცანი,
ამა სოფლადა ჩემისა მოსვლის?
და გულ-უგრძნობით,
უსასოებით,
ვალ დაბრმავებით გზასა სიცოცხლის!
მაშ. რად არ მეთქმის
რა ვჴმზერ ჩემის დღის
ქსრედ უმადლოდ ერთვუარ დენასა:

სიცოცხლევ; ფუჭო,
უბრალო ნიჭო,
რად მოუციხარ ჩემთჳს ზენასა?.

თემირხანშურა, 1847.

---

## მოგონება

აქა ადგილი, აქა ის არე,
სად კელმწიფობდი მშვენიერებით;
ჭალაკი იგი, იგივ მდინარე
და გაზაფხული მის ფეროვნებით!

სადაც შენ იყავ, მუნცა ყვავილნი
უმეტეს სუნნელთ აღმოფშვინვიდენ;
მზე ბრწყინვალებდა; აშიკ-ბულბულნი
შენდამო ქებას ტკბილად ჰგალობდენ!

გახარებული შენის შვენებით
ნიავიც ფრთეთა ამოდ გაშლიდა;
ხან შენსა კავებს ნაზად შეხებით
ხან შენსა ლეჩაქს ეთამაშიდა!

სადაც შენ იყავ, მუნცა მე ვრბოდი,
გულ მხიარული, სულ-აღტაცებით;
ვითა წყალობას ცისას ველოდი
შენს ერთს მოხედვას ლმობიერებით!

სულ განაზული, ვით ანგელოზსა,
ვიმზერდი კრძალვით, გულ-ძგერით, სურვით;
ვისმენდი ტკბილად ხმა-სირინოზსა
ტრფიალი შენდა სულის შეწირვით!

აწ მასვე ადგილს ვჰზი მარტო ჭმუნვით
და დრო წარსული თვალ-წინ მეხატვის,
როს გულს მინათდი შვენების სხივით,
მსურდა ცხოვრება შენთან და შენთვის!

დრონი წარვიდნენ... თანა წარიღეს
გულისა გრძნობა, ძალი ტრფობისა;
მაგრამ მე კი მარად მახსოვდეს
იგივე დრონი ნეტარებისა!

აწ არც კი მიცნობ,—გულითი იცვალე...
ამ მოგონებამ არ შეგაწუხოს:
შენ განსვენებით ლოღონდ იცოცხლე
და მე თუ გინა, საფლავმა მფაროს.

წინანდალი, 1851 წ.

# დიმიტ. ონ—ის დარდები

როდის მობრძანდები, ჩემო ბატონო,
ფეხქვეშ გაგეშალო ფიანდაზადა!...
საყვათნავა

ეს რა ცეცხლში ჩავვარდნილვარ, საღა ვარ?
გული მეწვის სასიკვდილოდ მზადა ვარ!

მაღლისავითა ვედივარ ამ ქუჩაში;
ვუყარაულობ ერთის ვისმეს კარებსა,

ერთს მოაჯირს, ორს პატარა ფანჯარასა,
ეგებ ჩემი მზე იქიდამ აღმოჩნდეს!

ეშხისაგან გონება-გამოცლილსა,
მზე ბრწყინავს, თუ თოვლი მოდის, არ მესმის!

განა ღამით ძილი არისღა სადმე,
ანუ დღისით განსვენება გულისა?

ან ვიღასა აგონდება სადილი,
ანუ ღამით აბანოში ლხინები?...

ნაბად-გახვეული ვჭდივარ ქუჩაში;
ვოხრავ, მაგრამ ჩემი დარდი ვის ესმის?

ვინც გაივლის, მეკითხება: აქ რას აკეთებ?
—შენ რას ნაღვლობ, მე რას გიშლი, რა გინდა?

მითილი ხარ, იორემ არა მკითხავდი,
მოდი ამ ვირს ეშხზე ელაპარაკე!

ჩემი დარდი, თვალის ჩინი, აქ არის;
ერთი მითხარ მე სად უნდა წავიდე?

თვალის ჩინო დროს რომ შემიბრალო:
მომარჩინო ამდენ დავიდარაბას!

გამობრწყინდე მოაჯირზე მზესავით,
ჭირ-დავკემსო, მიწას მადლიად ვემთხვიო!
გამაგონო სირინოზის-ხმა შენი,
სიყვარულის სიტყვით გული მილხინო!
აბა შემომხედე ლამაზ თვალებით,
ნახე, როგორ გავდიდკაცდე, გავმეფდე?
მაშინ მნახავ თავი ცამდის ამელოს,
ჩემზე მალიად არსად არავის ჴსნდეს!
შემიძლიან მაშინ ვებრძო ქვეყანას:
შენი ეშხი იმდენს მამცემს ძალასა!

ქუდ ჩაკეცით, ყელზე ჩითმერდინითა,
რა ქეჩქეჩით გავსწევ ორთაჭალისკენ!
მტკვრის პირს, ჩარხთან, თავის ლაზათებითა,
სუფრას გაშლით, დამხვდენ იქ დარდიმანდნი;

იქა მნახოს, რა შექცეულვარ, ვინა ვარ,
რა მადანი მიპოვნია ბედისა!

საყინმ ჩამოხსნილი, ქელში ჯამითა,
სიხარულით ვსვამდე შენს სადღეგრძელოს!

კოჯორი, 1860 წ.

# მუხამბაზი

მუხამბაზო, რა ტკბილი რამ ხმა ხარო.
ჩამჩი-მელქო.

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თუალთ ავასხელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

---

ყმასავით მე ერთგული შენი ვარ,
გინდა მკლავდე, არას გეტყვი — შენი ვარ.
სადაც წახვალ მე მაშინვე იქა ვარ,
გინდ ვერ მნახო, იცოდე, რომ იქა ვარ!
რას გაწუხებ? მე ჩემთვისა იქა ვარ,
ჩემთვის ჩუმად ვამბობ: „რა ლამაზი ხარ!"
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თუალთ ავასხელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

***

რტო ალვისა შენი წელი მგონია;
მაგ წელზედა ცისარტყელა მგონია;
მაგ თუალები ცაში ელვა მგონია;
ვარდის სუნი შენი სუნთქვა მგონია;
რომ მეღიმსოს, ვჰსთქვა: „გეთაყვა, ჩემი ხარ!"
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თუალთ ავასხელ ზედ წამწამზედ მიზიხარ!

***

***

ათი გზა მაქვს, ათივე შენკენ მოდის!
ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის!
მინდა რამ ვჰსთქვა, შენი სახელი მოდის!
ჩემს გულში რა ამბებია, რა მოდის?
ერთხელ მაინც მკითხე: „აგრე რათა ხარ?“
    გინდ მეძინოს, მაინც სულში მიჩიხარ,
იმედთ ავსხველ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

***

ჩემს დარდებსა ვინ ინაღვლის, ვინ არის?
ვის რათ უნდა, ლოპიანა, ვინ არის?
მკვდარია, თუ ცოცხალია, ვინ არის?
ქვეყანაში აბა რაა, ვინ არის?
შენ არ მეტყვი, ვიცი სულით ნაზი ხარ!
    გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზ. ხარ.
    იმედთ ავსხველ, ზედ წამწამზედ მიზ ხარ!

***

ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ.
დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!
ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ!
აბა მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ.—
მაშინ შეგიყვარდე, ჰსთქვა: „ძვირფასი ხარ!“
    გინდ მეძინოს, მაინც სულში მიჩიხარ.
    იმედთ ავსხველ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

კოჯორი, 1861 წ.

## Горныя вершины.

*Лермонтовъ.*

მთანი მაღალნი,
მომშვიდებულნი,
ღამისა ბინდში მიეცნენ ძილსა;
მეუდრონი ველნი,
ტკბილ საყროსელნი,
გულს უგრილებენ შრომით მძლეულსა!
ხმა არსით ისმის...
არა რა იძვრის...
არც გზაზე მტვერი, არც ხის ფოთოლი!
ჭიუშვანკენ სიმშვიდით
და გაწესებულებით,
ქვეყანა ტკბილად მისვენებული!...
—რა გაქვს, ძმავ, მგზავრო,
გულის სამწუხარო,
ამ დროს შეშფოთებით რომ მიანეჭებ?...
შეიცდე წამს ოდენ,
მოისვენ...
და შენც მშვიდობით აქ განისვენებ!

კოდა, 1864 წ.

# ს ა დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო

ანუ

## ომის შემდგომ ღამე ლხინი, ერევნის სიახლოვეს

შეჰსწყდა ბინდისას ომი საზარი;
დადუმდა არე, სად ჰქუხდა ბრძოლა;
გამარჯვებითა მოილხენს ჯარი;
ურდო ცეცხლებით განათებულა!
აჰა, მთოვარეც ნელიად შუქსა,
ჳითა ნუგეშსა, მოგჳფენს საშვებლად;
შევექცეთ, ვინც დღეს გადურჩით ომსა,
ჳჳლავცა გჳფქმნების ზეცა მფარველად!
ძმანო, მოიწვის სავსე ფიალით,
ჩჳენცა მოუსხდეთ ცეცხლსა ანთებულს;
ვესალმოთ, ვინცა სიკჳდილის ჴელით
დაეცნენ ომში დღეს რისხვით წასულს!
და შენ, ჰე ღვინოვ, ულევად ძლიერო,
ლხინით, შექცევით გულნი აღგჳავსნე;
გულის ჭირთ მდევნო, ნიჭო ციერო,
ვინ არს, რომელ გსვა და არ აღხანე!

## მ ხ ე დ ა რ ნ ი

ჰოი შენ ღვინოვ, ყოვლად ძლიერო,
ლხინით, შექცევით გულნი აღგვივგზნე;
გულის ჭირთ მდევნო ნიჭო ციერო,
ვინ არს, რომელ გსვა და არ აღხინე!

## ს ა დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო

ძმანო, აღვავსოთ ფიალა წინაპართ მოსახსენებლად,
რომელთა დაჰსდევს სიცოცხლე მამულის ასამაღლებლად,
რომელთა სახე დიდების სხივს მოუკვდენს გასამხნევებლად,
რომელთა სული მაღალი ჩუენც მიგვიზიდებს ცად მაღლად!
ვითარცა ცეცხლი მარტოდა ჰნანს ველსა ზედა შთამო…
რომლისა კუამლი ჰაერში ქარის შებერვით არს მქრალი,—
ეგრეთ იქმნების აღხოცილ ამ სოფლით მისი სახელი,
გზა ცხოვრებისა ვინც განვლო და არ აღბეჭდა ნაკვალი!
ვინ გვითხრას, ვინა გვიჩვენოს, სად ჰსცხოვრებდენ მ…
დრომან შემუსრა, აღჰგავა მიწით მათნიცა საფლავნი; | გმირნი
მარამ, ჰსცოცხალან ჯერეთაც დიდების მათ მოედანი,
მათი სახელი, მათ ხმალი, საქმენი სახელოვანნი!
ძმანო პატივით მივმართოთ თუალნი
წარსულთა ძველთა საუკუნეთა,
მათში სახენი ჰსჩანან ნათელნი
გმირთა, მამულის განმადიდეთა!...
ეს ვინ გამოჩნდა? ვისი აჩრდილი
დაჰმშვერს ივერსა ჩაფიქრებითა?

ნუ თუ ველარა უცვნია შვილი...
მისგან აღზრდილი ტრფიალებითა?
შენ, ჰე ფარნაოზ, ჰქმენ ერთ-მთავრობა,
შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი,
შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა
და ერთობისა წესი და ძალი!
და ივერიის აღჰნდა მეფობა,
და განძლიერდა შენისა სიბრძნით,
შორსა განითქვა მისი გმირობა
და მის მეფენი დიდების ბრწყინვით!
ქრისტეს ნათელით განათლებული,
მეფე მირიან ჰბრწყინავს გვირგვინით,
ჯუჭარისა ძალით გარე-მორტყმული,
შეჰმუსრავს კერპთა მათის ბომონით!
და განჰქრა ასლის აღთქმისა ძალით
მკვლის ივერის ბნელი ურწმუნება;
ქართველთ მისდევს ცას სიხარულით
და საუკუნო ჰსცნეს მუნ ცხოვრება!...
მუსარადს მკვლ-ლომ გამოსასხული,
კელისა მახვილით, ვინ მოვალს გრგვინვით?
ვით ბრძოლის ღმერთი, თუთ მბრძანებელი,
მისად არს საომრად სახე-შერისხვით!
ესე არს გმირი ის გორგ-ასლანი,
რომლის შესვლით სპარსელნი ჰთრთოდენ,
მისწრაფდნენ სადაც მის ძლიერი მკლავნი,
მტერთა შელეწდენ და შემუსრვიდენ!

ჰსცა წყალობად, ნუგეშად, ივერსა გაოხრებულსა,
მეფედ მოუვლენს დავითსა 1), ზეგარდმო საყრმით ცხებულსა
მხედართ-მთავარსა უძლეველს, გულ-მოწყალესა მსაჯულსა,
ზე-ჩაგონებით განსწავლულს, ენა-მდინარე მეტყუელსა!...

დავით ჰსთქვა: „იყვნენ ქალაქნი!“ და აღმოსცენდნენ ქალაქნი
განჰქრა უდაბნო ოხერი,—სავსე დაბებით შეჰქმენი!
დაჰკრა წყრომა,—და აღსდგნენ ტაძარნი, ტურფიად ნაშენნი!
მუნ შინან ღმერთისა ჰმადლობენ გალობით ძენი ივერნი!

ხმა-ჰყვა და აღსდგა ივერი ფენიქსებრ განახლებული,
დიდების სხივით შემოსილი, მშვიდობით აღყვავებული!...
აღმოსავლეთად ლაშქრად,—და ილტვის სულთანი 2) შეძრწუნებული,
შირვან, დერბენდი ჰყავს სამზღურად, შენის ხმლით შემოსაზღვრული 3)

ვარსკულავად ჰგვანის სახე ნათელი,
თუალნი სიბრძნის გამომცენნი,
სარო-ტანადი, ნაზად მოხდენილი,
თითნი ნარინჯად ბროლის ნათელნი! 4)

ვითარცა ღმერთსა მშვენიერების,
ქველ-მოქმედების, სახიერების,
ვით ტრედი მადლის მშვიდი და წყნარი,
ეგრე შვენებით მოჰვალს თამარი!

---

1) დავით-აღმაშენებელი, რომელიც გამეფდა მაშინ, ოდესცა საქართველო იყო სრულიად გაოხრებული მაჰმადიანთაგან.

2) შემახიის სულთანი გაიქცა შეშინებული მეფის დავითის ჯარის მიახლოებითა.

3) მაშინ საქართველოს სამზღვარი იყო: ანი, შამახია და დერბენდი (იხ. ქართ-ცხოვ.)

4) ანტონ კათალიკოზის სიტყვა.

ხშივ-ცისკროვანი მისი გვირგვინი,
უშვრავს დიდებას და სათნოებას;
წინაშე მისსა ძლევა და მუზნი
განადიდებენ მისსა მეფობას!

მის დროშას მოსდევს დიდი ორბელი,
შოთა უკვდავი, ბრძენი ჭყონდიდელი;
ჰ! [illegible] მთავარი დიდი მხარ-გრძელი
და გამრეკელი, ლომებრ გულადი!

თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს[1]) ლაშქარი;
ასი ფარ-შუბით, თუშა ხმლით, ფშავ-ხევსურს ჭშვენის აბჯარი,
ალავით ძლიერით ქართველი, ვით ციხე-ბურჯი მაგარი,
ასი ფეხ-მარდი, მთიული ბრძოლაში შეუპოვარი!

მესხი სწავლითა ქებული, გმირი იმერი ზრდილობით,
და მშვილდოსნობით აფხაზი, გურული, მეგრელი მკვირცხლობით!..
თამარი ლოცავს ჯვარითა, ჯარს ამხნევებს გულის უხვებით;
გული მეფისა ზღვა არის, უსამზღვროებს წყალობით!...

გალაშქრდნენ, მისწვდნენ კარნუსა[2]) ერთის შეტევით მიეწივნეს!
ლომებრ მისცვივდნენ სიმოზსა, მის ცის ზღუდეში გარდაგდეს;
განვლეს არეზი,[3]) თავრიზი, ყაფლანქუ გარდაიარეს,
და მტერი გააწყვეტისა, ლუთის რისხ-ვით ყაზმინს თავს დაესხნეს!

---

[1]) დიდუბეს ეძახდნენ იმ მინდორს, სადაც ეხლა არის ნემეცის კოლონია, მუშტაიდის ბაღი და მინდორი ავჭალისაკენ.—დიდუბეში იდგა თამარ მეფის სასახლე, რომელშიაც იყო მეორე მისი ქორწილი.

[2]) კარნუ ქალაქია აწინდელი აზრუმი.

[3]) კნ. პასკევიჩმან 1827 წელსა სწორეთ ამ გზით განვლო ძლევა. შემოსილმან რუსის ჯარითა მიანამდის.

დრონი იცვალნენ... იხილეთ, ქეთევან ნაზად აღზრდილი [1])
მამულისათვის იტანჯვის, სარწმუნოების დამცველი!
გვერდ-დაგლეჯილი მაშებით, მკერდზედ ცეცხლ-ანთებული
სულის სიმაღლეს ჰგვიმტკიცებს ზეცად დიდებით ამაღლებული!

ნათელ გვირგვინით მოსხივანი კახეთის მხსნელნი გმირები,
ელისბარ [2]), შალვა, ბიძინა, მტარვალისგან დატანჯულები!...
ტარიგად შესაწირავად მახვილით განწმენდილები,
ღმერთს ავედრებენ მამულისა მათ უკანასკნელ სიტყვებსა!

აჰა, ცხრა ძმანი, სისხლ-განთქმულნი,
ძმანი გულითად შეთვისებულნი;
ვით წმიდა მსხვერპლი, ცად შეწირულნი,
ერთს ჟამს, ერთს ომში ერთად დაკლულნი [3]),

აჰა ერთ-გული ამილახვარი [4]);
თავ-დადებითა მეფისთვის მკუდარი!...

---

[1]) ქეთევან დედოფალი.

[2]) ელისბარ იყო ჩოლაყაშვილი; შალვა და ბიძინა—ქსნის ერისთავნ

[3]) ხერხეულიძის ძენი, განთქმულნი ვაჟკაცობითა, დაიხოცნენ ერთად მარაბდის ომში პირის-პირ შაჰაბაზისა.

[4]) ერთმა ზედგინიძის გვარისაგანმა გააფრთხილა მეფე (ვგონებ გი-ორგი XI) შეთქმულობაზე, რომ ღამე მოკვლას უპირებენ. მეფე არ უჯერებდა. ზედგინიძე თავის სიტყვის დასამტკიცებლად და მეფის გა-დარჩენისათვის, დაწვა მეფის ლოგინში, რომელშიაც იმავ ღამეს მო-ჰკლეს და აჰკუწეს შემთქმელთა. ამ თავდადებისათვის ზედგინიძის გვარეულობას მეფემ მისცა ამილახორობა, რომლისაც შთამომავალნი არიან ეხლა ამილახვრიანი.

ტ მეფის ძალნი ოთხნი ზაალნი, 1)
თითოდ ერთ ჯარად დაფასებულნი!...

აქა სჯულისა წიგნითა ვახტანგ სულ-დამწარებული, 2)
სწავლის მოყვარე, მთვარველი, გონება ამაღლებული!
უცხოსა ცის ქვეშ მარტოობს მისი საფლავი ობოლი,
დაუტირავი ჩვენთაგან, ჩვენთვის-კი დავიწყებული!

აქა ივერის ნუგეშ-დიდება,
თვისის დროისა გამშვენებელი,
მამაცთა შორის საკვირველება,
პატარა კახი, მეფე ირაკლი! 3)

წარბ შეჭმუხვნილი, კმალ-ქალ მოწვდენით,
ვაი მას მტერსა, სად აღჩნდებოდა!
ერთის შეხედვით, მტერთა შემუსვრით,
ბრძოლა წამსავე გარდასწყდებოდა!

დღენი ამისნი ემსგავსნეს ჩასვენებულსა ბრწყინვით მზეს,
მის შუქი თუმცა გვინათებს, მაგრამ ველარ ვმზერთ მისს სახეს!
მამული ველარ ისილავს ირაკლის ხმალსა მღელვარეს,
დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს!

---

[1]) ესენი იყვნენ ერთ დროს, გვარად: ორბელიანი, ბარათაშვილი, ანდრონიკაშვილი—კუჩიანი და ბორტისშვილი მაჩაბელი. მეფე ირაკლი იტყოდა: „თითო ზაალი ღირს თითო ჯარად."

[2]) მეფე ვახტანგ მარხია ასტრახანში.

[3]) კახელები ეძახიან მეფე ირაკლის პატარა კახად; სიმღერაშიაც მოიხსენებენ: „ბატონი მეფე ერეკლე ჩვენი პატარა კახია."

მეფისა დროშით, სად მიხვალ, ჰე ლევან [1]) სულით ნათელო
შენ მხოლოდ მამის იმედო, უდროდ მზე-დაბნელებულო!
მსხვერპლო ბნელის მტერობის, შეუბრალებით შეჭმულო!..
შეირყა ტახტი მეფისა, რა შთახვედ საფლავს ღრმა-გულო!

რა ცეცხლი გაჩნდა გაღმა-მხარს, რა გრგვინვა მოდის ბრძო-
მთლად დაღისტანი მოაწვა გასაოხრებლად ქართლისა! ლისა!
ოც-და-რვა დღეა, რა ისმის ხმა ომის შეუწყვეტლისა!
გაჭირდა... ციხე მისუსტდა... სად არის ჴელი მხსნელისა?

ორასის მხედრით სოლომან, [2]) ოთარი და რატიშვილი,
ნოდარის ძენი, და ზოსტა [3]) დავით [4]) და ბებურიშვილი
გაჩნდნენ... დაჴკივლეს... ხმალ-და-ხმალ, შუა გააპეს ლეკთ ძალი,
და გამოიხსნეს მბრწყინავი კახეთის თვალი ყვარელი!

---

[1]) მეფე ირაკლის შვილი, მაღალ გონიერი და ვაჟკაცი. მეფემ ჩააბარა ამას დიდ-ვაჟკაცობისათვის თავის ბაირაღი და ორი ათასი გამორჩეული ვაჟკაცობითა მხედარნი; მეფემ ამის რჩევით დაადგინა მორიგის ჯარი (იხ. ბუტკოვის ზაპისკა). ამბობენ ვითომც ლევან მოსწამლა მისმა მეუღლემ. (ნათქვამი თ. ალ. ვ.-ძის ორბელიანისაგან).

[2]) სოლომან და ოთარი იყვნენ ძმანი ქვაბულაშვილნი.

[3]) მეფე ირაკლის, ძალიან დამარცხებულსა ალაზნის პირზე ქარელებისაგან, დაუდგა დაღალულობით ცხენი. მეფემ სთხოვა ქიზიყის მოურავს თამაზ ანდრონიკაშვილს ცხენი და მან მოახსენა: „ბატონო შემომიჯექით და ორნივე ერთად მოვრჩებით, თორემ მტერი ახლო მოგვდევს.“ „შენც შეგარცხვინა და შენი ცხენიცა,“ უპასუხა ბატონმა. ამ დროს მოადგა უმაწვილი კაცი, ჩამოხტა ცხენით და მოართვა და ამით მეფე მორჩა განსაცდელისაგან. ეს უმაწვილი კაცი იყო ზოსტა, რომლის გვარი მეფისაგან გააზნაურ-შვილებული ეხლაც არიან ზოსტაშვილები.

[4]) დავით იყო ბარათაშვილი.

დიდებულ სახით, გულ-უშიშარი,
ვინ არს რომ მისგან მტერი იშიშვის?
ჯარის იმედი, მტკიცე სავარი,
ძლევა მის დროშას წინა მოუძღვის!
შენ ხარ, ჰე დავით, [1] გმირი ლომგული,
ვინც იყავ მტრისთვის, ვით ცისა რისხვა;
მარჯჳენას გეჭირა სიკჳდილის ცელი,
სადაც შესძახე, მუნ იყო მტერთ სრჳა!
ჵ ზაქარია, [2] მიწისა მგელი,
ანაზდეულად მუნ აღჩნდებოდა,
სადაცა მტერი გალაღებული,
მისგან შემუსრვას არ მოელოდა!
ვითარცა შექა, მისი დაცემა
მტერთა ზედ იყო ქსრედ სახარლად;
სადაც იელვა მახჳლმა მისმა,
მუნ მტრის სიცოცხლე განქარდა მსწრაფლად?

გუნდნი და გუნდნი ვაჟკაცთა ჰსჩანან მამულის მოყვარენი!
ზოგნი აზიატის დამმხობნი, ზოგნი თემურის მებრძოლნი!
და ასპინძის გმირები, ღირსებით თავყვან-ცემულნი,
რომელნი შეჰღებეს მტრის სისხლით მტკჳრის ზვირთნი აღე-
ლებულნი!

---

[1] დავით სარდალი ორბელიანი, განთქმული ვაჟკაცობითა და სარდლობითა; ეს იყო მიზეზი დიდის გამარჯვებისა აზატ-ხანზე ერევანთან და ასპინძის ომშიაც ოსმალ ლეკებზე.

[2] ზაქარია ანდრონიკაშვილი ქიზიყის მოურავი, დიდი ვაჟკაცი; ლეკნი ამას ეძახდენ „მიწის მგელად".

აი სამასნი გმირები დუშეთით თბილისს მოსულნი [1]
მეფის შეწევნად, და მის წინ, მისთვისვე შეფიცებულნი:
„თუ გაგვიწირებს ღმერთი და ვერა განვჰსდევნეთ მტრის ძალი,
იყოს შერცხვენილ, ვინც ჩვენგან, შინა წავიდეს ცოცხალი!"

და გარდიწერეს პირს-ჯვარი... ვაჟკაცებმა ხმალი იშიშვლეს...
და შავარდნებრ მივარდნენ სპარსთა ურიცხვსა სიმრავლეს!
შეესიძრეს... გაჰფანტეს... მარამა... ზედ თავიც თვისი დასავლეს!..
ფიცი ვაჟკაცთა წმიდა არს... მათცა სიკვდილით შეამოწმეს!...

თავ-განწირულმა გმირობამ ვერა დასძლია შავ-მსვედრი...
წაიღა თბილისი და მასთან დაეშხო ძველი ივერი!...
და სად დაჰსთხიეს გმირთ სისხლი აწ ვჰმზერთ სიამით ბაღთ მწვანეთ
მუნით მოისმის ლხინის ხმა გულ-უზრუნველთა მოლხინეთ!
და მას წმიდასა ალაგსა, თაყვან-საცემსა ღირსებით,
ცლახ-უმეცრება ფეხ-ქვეშ ჰსთრგუნავს გულითა უგრძნობით!...
გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება!
თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა!
თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოსდუცს ცრემლ-მოედინება,
ძნელობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მიჰსწვდება!

---

1) სამასნი არაგველნი მოვიდნენ თბილისს დუშეთიდამ აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლის დროს, შეჰფიცეს მეფეს და ერთიც აღარ გამოვიდა ცოცხალი ომიდამ. ესენი იყვნენ ვახტანგ ბატონიშვილის ხელ-ქვეით და კრწანისის ბაღებთან დაიხოცნენ. (ნათქ. თ. ალექ. ვახ, ორბელიანისაგან).

## მხედარნი

გმირნო, მამულის მადიდნო, თქუენა ხართ ჩუენი დიდება!
ქუენთა სახელთა ამაყად წარმოსთქუამს შთამამავლობა!
თქუენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება,
ყხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მისწუდება!

---

## სადღეგრძელო

ჴელმწიფევ ჩუენო,
ძლიერო, ბრძენო,
ნიკოლოზ დიდო სულგრძელებითა!
მხედარნი შენნი,
ერთგულნი, მხნენი,
ვჰსუამთ შენს სადღეგრძელოს მოწიწებითა!
გულნი ივერთა გუაქუს მსხუერპლად მზადა, შენდა შესაფერ
შესაწირავად;
ტაძარი შენი ჰსდგას გულსა ჩუენსა, მოველ მშვიდობის ჩუენ- და საკმევად!
ძველი ივერი,
შენი ივერი,
შენდა მოჰმართავს თუალსა და გულსა;
შენგან მოელის,
რომ ლამპარს სწავლის
კუალად აღუნთებ ძველად გამქრალსა!
შენგან მოელის,
ვით გაზაფხულის
ყუავილი მზისგან აღმოცენასა!

განასლებული,
განათლებული,
ფენიქსებრ იწყებს აღმა-ფრენასა!
მტრისა მძლეველსა,
ჩუჱნსა მფარველსა,
მარჯუჱნას შენსა განავრცობ ჩუჱნზე;
ახლის ცხოვრებით
აღყუავილდებით,
ვითარცა მდელო მზის შარავანდზე!
მტერი შეძრწუნდეს,
რა მოახლოვდეს
მხნეობით დაცულს, შენსა სამზღუარსა!
თამარის დღენი,
დიდების დღენი,
შენ მოუვლინე შენსა ივერსა!...
ღმერთო, გვისმინე,
მეფეს მოჰფინე
ძლევა, კურთხევა, მადლი ზეციერ!
ჩუჱნდა დიდებად,
ბედნიერებად,
მეფე გვიცოცხლე მრავალ-ჟამიერ!

## მხედარნი

ღმერთო, გვისმინე,
მეფეს მოჰფინე
ძლევა, კურთხევა, მადლი, ზეციერ!

ჩვენდა დიდებად,
ბედნიერებად,
მეფე გვიცოცხლე მრავალ-ჟამიერ!
მრავალ-ჟამიერ!
მრავალ-ჟამიერ!

---

## ს ა დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო

ჰე მამულო სასურველო, ვინ გასსენოს, რომ მის გული
რ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი?
ინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დაჰსთხიოს თჳსი სისხლი,
რა დაკლას თავი თჳსი, შენ დიდებად, ვითა მსხვერპლი!

ვინ არ შეჰსტრფით მას ადგილს, სად აღგვესილნეს პირველ
ად ჰრბიოდა მხიარული სიყმაწვილე ნათლად ჩვენი? | თუალნი
ად გვფარვიდა ნებიერად ხვევნა ალერსით მშობლისა,
სად აღგვენთო პირველად გულს ცეცხლი სიყვარულისა!
ად აწ ნაზისა რხევითა კეკლუცნი, გულის მიმტაცნი,
ამრად მიდიან ცრემლითა ჩუენთჳს მსურვალედ მლოცავნი!

სადა შეჰჴსარით ლაჟვარდად ცისა კამარას მორთულსა,
ასზე მავალსა კელმწიფებრ, მზეს ბრწყინვით განსხივებულსა,
ამით ვარსკვლოვანს ფირუზსა, მთოვარით განათებულსა,
იცოცხლის მომფენს ჰაერსა, სუნნელებრ შეზავებულსა!

სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან ცადმდე ასულნი
მდინარენი ზახილით ზვირთის ზვირთებზედ მსრბოლელნი;
ევსკრულნი-ჩაბნელებულნი, კლდენი-თვალ-გადუწვდენელნი,
ად მონადირე ჰსდევს ჯიხვსა და მის ქუეშ ჰქლენან ღრუბელნი!

სად ველნი, ფერით ზურმუხტნი ნაზადა აღმწჳანდებიან,
მათზე კასკასით წყარონი, გახარებულნი მორბიან;
მათ სიკამკამეს ყჳავილნი თავ-დახრით განცვიფრდებიან;
გულს მათი ხილვა უხარის, თჳალთ კჳალად ენატრებიან!

სხჳა საქართჳჱლო სად არის, რომელი კუთხე ქჳჱყნისა?
ერი — გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა?!
შავთა დროთ ვერა შესცჳალეს მის გული ადამანტისა,
იგივ მხნე, იგივ მღჱრალი, მოყჳარე თავის მიწისა!...

მამულისათჳს ფიალა სავსე ვჰსჳათ სიამოვნებით,
და იქმნეს აღყჳავებული კეთილ-დღეობით, დიდებით;
იქმნეს მის ქედი აღყჳანილ ცათამდის ძეთა მხნეობით,
და სიყჳარულის მისდამი ვჰხარობდეთ გულსა აღგზნებით!

სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა!
მის სადიდებლად ჩჳჱნც შევჰხჳდეთ უშიშრად ათასს მახვილსა,
და მოვჰკჳდეთ, თუ კი სიკჳდილით ვადიდებთ მისსა სახელსა!

---

## მ ხ ე დ ა რ ნ ი

ჰე მამულო სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული
არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღჳსილი?
ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დასთხიოს თჳსი სისხლი,
არა დაკლას თავი თჳსი, შენ დიდებად, ვითა მსჳჱრპლი!

---

# სადღეგრძელო

ჳაი ვინცა ეშხის ცეცხლით ჩემებრ გულსა მკჳდრადა ჰხედვენ...
მაგრამ, ჰე შენ მეგობრობავ, შვების ვასკჳლავად აღგვეგზენ!
გვინათლე ცხოვრებისა გზა, ზედა ყჳავილნი მოჰფინენ,
და განვჰვლოთ გულის სიმტკიცით, შენც თანა-მგზავრად შეგვექმენ!

რა არის ჩჳენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი?
თუ არ ავადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშ-მცემელი?
თუ არა ვჰსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი?
სხვის კვნესა თუ არ გვაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი?

ამ ჰაზრის გულსა დანერგვით ვჰსდევნიდეთ სულ-მოკლეობას,
ვჰსდევნიდეთ ძალას დამჩაგვრელს და მისსა უსამართლობას;
ვჰსდევნიდეთ კაცის წამბილწველს, უწმინდურს ანგაარებას:
ვჰსდევნიდეთ ყოველს, რაც უშლის კაცისა სულის მაღლობას!..

მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყჳანის-ცემა ღირსებას:
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გჳარიშჳლობას!
კაცი ის არის, ვინც არის ზეგარდმო მადლით ცხებული;
მის მხოლოდ ღუაწლი არს კეთილ, მით მხარე დაშვენებული!..

კმარა მოძღჳრობა...დავლიოთ... ვინ იცის ხჳალ ვინ მოგჳა-
ნაცჳლად ლხინისა, იქნება ვისმე გვითხრიდნენ სამარეს? *) |კლდეს?
ოხ! ვით ძნელ არს მეგობრისთჳს, მეგობარსა როს მარხავდეს,
ანუ ჰსჭჳრეტდეს საშიშს ალაგს, შემწეობას ვერ აძლევდეს!

---

*) ერევნის ფორშტატში მოჰკლეს სვიმონ ვაჩნაძე; ჯაგან-ბულაღის ომში გაბრიელ სოლოღაშვილი და ურდო აბბატის სიახლოვეს სვიმონ ჭავჭავაძე, სამნივე მშვენიერნი და სავსე გონებითა ყმაწვილნი კაცნი. გაბრიელ იყო დასახატავი ცხენოსანი იმ დროს, როდესაც საქართველოში იყვნენ მრავალნი გამოჩენილნი ცხენოსანნი.

მისთჳს ეს ჟამი ლხინისა მოვჰსწყვიტოთ, ვითა ყუავილი,
რომლისა სუნი, სიტურფე, არა არს ჯერეთ გამქრალი!
ხუალის იმედით არ ვჰკარგოთ ეს ჟამი მალხინებელი,
თვარა მერწმუნეთ, რომ ხუალე ხშირად არს მაცდუნებელი!

მეგობრობასა წმიდასა შევჰსწიროდ სრულად რაც გუაქუნდეს!
დავლიოთ მისთჳს ფიალა და აღთქმა არა გუავიწყდეს...
ვიყუნეთ ცოცხალნი მეგობრად, და ვინცა ომში დაეცეს,
ცრემლნი, კურთხევა მეგობართ თან გავაყოლოთ სამარეს!

---

## მ ხ ე დ ა რ ნ ი

აწვე შევექცეთ, ჰე ძმანო! ვინ იცის ხუალ ვინ მოგუაკლდეს?
ნაცუალად ლხინისა, იქნება, ვისმე გვითხრიდნე სამარეს.
ოჰ! ვით ძნელ არს მეგობრისთჳს, მეგობარსა რომ მარხავდეს,
ანუ სჭურეტდეს საშიშს ალაგს, შემწეობას ვერ აძლევდეს!

---

## ს ა დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო

ძმანო, ივიწყეთ მცირეს ჟამს მტერი, ომი და დიდება;
მოიგონეთ სიყუარული, რომლით სიცოცხლე გვიტკბება,
რომლის შუქი აღგუამაღლებს, რომლით სული გვანათლდება,
რომლით კაცი მშუენიერობს, მაშინ თჳთ ღმერთს ემსგავსება!

სადა ხარ სიყუარულის დღევ, აღარა უკმოიქცევი?
ღიმილით შენსა შეყრასა ნუ თუ ამაოდ ვისურვი?
გულისა მნათი, ლამპარი, ნუ თუ ჩემთჳსა განჰქარდა
და ჩემი ბედნიერებაც წასულთა დღეთთან წარვიდა?...

გული რა იგრძნობს სიყჳარულს, სიცოცხლეც მაშინ აჰყუავდეს!
ნეტარ ის ჟამი, როს სატრფო თავსა ჩჳენსა გჳავიწყებდეს:
მას შევსტრფოდეთ, შევჰხაროდეთ, თავს ვევლოდეთ, ის გჳტანჯავდეს;
ხან უწყალოდ გულს გვიკლავდეს, ხან ლმობითა ნუგეშ-გჳცემდეს!

რა ნახოს კეთილ უგრძნობმან ტრფობისა ძნელთა ჭირებთა,
ვის არ შეეხო ეშხი გულს, არ ებრძვის გულის წყლულებთა?
მიჰხედეთ ვარდსა, მაშინ ჰფენს უმეტეს სუნნელებათა,
ოდეს ნიავი შეხებით შეარყევს მისთა რტოებთა!

სიყჳარულისა ალითა ვის ჩჳენში გული ეწოდეს
და სატრფოს სახე მარად ვის სულსა აღბეჭდვით თან ჰსდევდეს,
ამა სოფელსა, მას რაჲ წინა-საბრკმელად აღუდგეს?
გულს სიყჳარულით, კელს ხმალით, რას არა აღასრულებდეს?

მაშ აბა, ძმანო, გულის სატრფოსთჳს
ფიალა სავსე შევსჳათ წყურვილით;
ვისურვოთ, რომელ მის ცრემლი ჭმუნვის
გაშრეს, ვით ღვინო, ამა ფიალით!
შვებისა დღენი მისთჳს არ შეჰსწუდეს,
არ ვნახოთ იგი ჭმუნვისა ღრუბლით!
ახ, სატრფოს ხილვის დღე როს აღმოჰსჩნდეს,
ენა გვემუნჯოს მეტ სიხარულით!
ჰე ჩემო ღმერთავ!
აწ შენ მოგმართავ!
მისმინო კჳალად შორით სიტყჳანი:
ყოველ ჩემთ ფიქრთა,
ჩემთ საუბართა,
იდუმალ ოხჳრათ, ხარ შენ საგანი!

თუ-არა შენზე,
ვუბნობდე სხჳაზე!
ბრალი არს ენა და მის როტჳანი!...

ვაი-თუ ჩემმან, უდროდ შავ-ბედმან, აქ განმისაზღჳრა მეც აღსასრული!
ვაი-თუ მოვკჳდე, მეც ობოლ-მწირად, გულს არ დამეცეს სატრფოჲს ცრემლი;
არ მესმას მისი ხმა ნუგეშისა, სიკჳდილის ჟამის დამატკბობელი?
არა ვემთხვიო, ბაგით მლივ-ცოცხლით, უკანასკნელად მშჳენიერს მის გულს,
რომ სახე მისი, თჳალთა დასშულმან, თანა წარვიღო იმიერ სოფელს,
მუნ საშჳებელად, მუნ სანუგეშოდ, და რათა მითვე ვჰსცნა უკჳდავება!...

რაა გინდ მოვჰკჳდე? მაინც შენდამო სულს სიყჳარული თანა წარჰყვება!
არს უკჳდავება, სულის დატკბობა, რომელს დასასრულ არა ექმნების;
მაშ სახე სულის დამატკბობელი, იმიერ სოფელს არ განგჳშორდების,
და სიყჳარული, სულის მაშვენ, სიცოცხლეს-თანა არა დაჰშრტების,
თვარა სიყჳარულს თუ დავჰკარგვიდე, უკჳდავებამან მის წილ რა მომცეს?
უსიყჳარულოდ სასუფეველი, ვით საპყრობილე, ჩემთჳს შეიქმნეს!

# მ.ხ ე დ ა რ ნ ი

მაშ აბა, ძმანო, ერთიც სატრფოსთჳს
ფიალა სავსე შევსჳათ წყურვილით;
ვისურვოთ, რომელ მის ცრემლი ჭმუნვის
გაშრეს, ვით ღვინო ამა ფიალით!...

---

ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეჰღება,
ცას სიხარული მოჰფინა და ქუეყანასა შვენება!
ვენთნენ ცეცხლის ალებრივ შორს განბნეულნი ღრუბელნი;
ცა მშვენიერობს, ნათლდება... მასა შეჰნატრით მხილველნი!

იელვა ბინდი ღამისა, ცაში ვარსკვლავნი ჰქრებიან,
ათასის ხმებით ფრინველნი განთიადს მიეგებიან!
მოჰქრის დილისა ნიავიც გულისა მაგრილებელი;
ფშვინვა დაიწყეს ყუავილთა და ბაღში ფოთოლთ შრიალი!

ოჰ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული!
დასდუმდით...ყური მიუგდეთ... არ გესმისთ, ჰგალობს ბულბული?
ირაკლის თაფაც *) გამოჩნდა... აჰა მთაც კიდობანისა!... **)
აი მყვირალა ზანგიცა და ბურჯნი ერევანისა!...

---

*) სარდლის ბაღთან ირაკლის თაფაა, მარჯვნივ ზანგისა ამ გორაზე იდგა მეფე ირაკლი როდესაც დაიმორჩილა ერევანი.

**) არარატის მთა.

## გ ა თ ე ნ დ ა

ვიშ ამ დილასა, ამ ჰაერს, ბუნების განმაცხოველსა,
გულისა ჭმუნვის გამქარველს, სიცოცხლის დამატკბობელსა!..
ღმერთო, ვინ მიჰსწჳდეს შენგან ქმნილს, მისს ფერ უთვალავს
შვენებას?
სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკჳდილით ჰბადავ ცხოვრებას!..

ურდოც შეიძრა... ხმაურობს... დაჰკრეს ნაღარა ცისკრისა...
განემზადება საომრად რაზმი და რაზმი ჯარისა!
აი თოფიცა გავარდა... აი ჰრბის ცხენი მხედრისა!...
ამ მშვენიერსა დილასა, კაცს რად ჰსურს სისხლი კაცისა?

ჩჳენც ავდგეთ, ძმანო, და ერთიც გამარჯვებისა დავლიოთ!
და დღეს ვინც ველარ დაბრუნდეს, ის ცრემლით მოვიხსენიოთ!..
დასრულდა, განჰქრა, სიზმარებრ ესე ლხინიცა ღამისა...
წარვიდეთ, სადაც მიგვიწოდს ხმა საიდუმლო მხვედრისა!...

## (ლ.) ალექსანდრე ვახტ.-ძეს ორბელიანს

აწ სად არიან იგინი, მას ჟამსა ლხინში ვინც იყჳნენ?
ძმანი და ტოლნი, ვაჟ-კაცნი, რომელნი სილვით გვალხენდნენ?...
განგვშორდნენ გულის ნაცნობნი, ვინცა გულითა გვიყჳარდნენ,
თჳალთ მიგვეფარნენ... წავიდნენ... მჳტლთაგან დავშთით მე და შენ!...

ან ეს რაცა ვჰსთქვი რადა ვჰსთქვი; თუ რაც მინდოდა ვე-რა ვჰსთქვი?
და ვერ ვჰსთქვი რაცა, ის წყლულად გულს დამშთა და მით ვიტანჯვი!..
მარამ, თუ ვინმე აქ ჰპოვა ჰაზრი ნაცნობი გულისა,
ვივიწყებ, რაც ვჰსვი სიმწარე ეკლიანს გზაზე სოფლისა!...

ან რაღას ველი სოფლისგან, რა მიხარიან, რა მინდა?
რაც ვიყავ, იგი აღარ ვარ; ვერც კი ვგრძნობ, რაცა მიყჳარდა.
დღე ყოველ, ჟამი ყოველი მაკლებს რასამე კეთილსა.
ვჰმზერ მწუხარებით მომავალს და ვჰსწყევლი ფუჭად წასულსა...

## თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში

შენს წმინდას სახეს,
შვენებით სავსეს,
სახიერებით განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა,
თაყვან-ცემითა,
ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!

*

მიხარის — გიმზერ!
ვჰსწუხარ — და გიმზერ
და ესრეთ მზერა მსურს სიკჳდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვჰგრძნობდე,
ჩემის სამშობლოს სულით დაცემას!...

*

ყვავილოვანი
წალკოტი შენი,
შენის დიდების სხივ-მოკლებული,
აღარა ჰშვენის,
აღარ გვიბრწყინვის,
შავ-დროთა *) ძალით ფერ წახდენილი!...

---

*) შემოსვლა ლანგ-თემურისა და შაჰ-აბაზისა, რომელთა საშინლად გააოხრეს ჩუენი ქუეყანა. ქართველთა დაარქვეს შავი დრო ამათ შემოსვლასა.

და ვით განვლილსა,
სიზმარსა ტკბილსა,
მზეს, დიდებულად ჩასვენებულსა,
ვიგონებთ შენს დროს,
გული გვიმაგროს,
სრულად არ წავჴსწყდეთ ცის შემრისხავნი!...

*

ხნით დამაშჳრალი,
დაღონებული,
შენადვე, მეფევ, მოვედ ვედრებით:
მოხედო ბედ-კრულს
შენს სატრფოს მამულს,
და ჯჳარით *) შენით აკურთხო კვალად.

*

შენი ივერი·
აღსდ[illegible]ს ძლიერი,
და დადგეს ერად სხჳათ ერთა შორის,
წმიდით საუდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული!

*

ზნე ამაღლებით,
ძლევის დიდებით,
სამშობლოს მიწის სიყჳარულითა! —

---

*) როდესაც საქართველოს ჯარი შეიყრებოდა სალაშქროდ, თამარ მეფე თჳთ აკურთხებდა მას ჯარსა ჯჳარითა.

დ̃ გაჰკიცოცხლდეს,
რომ კვლავც მოგვესმეს,
სიტყუ̂ა ქართული რუსთაველისა.

*

რომ განვიღვიძნეთ,
სულით განვახლდეთ,
დ̃ განქრეს ბნელი უმეცრებისა!...
...მარამ ცად თუ̂ალნი,
გაქუ̂ს მიქცეულნი,
დ̃ მე ველარ მცნობ გულ-შემუსვრილსა,

*

დამცირებულსა,
ხმა-მიღებულსა,
ბედ-დაკარგულის ივერიის ძეს!...
ეჭვით აღვსილსა,
უსასოდ ქმნილსა,
გულ-უიმედოს, გაუხარებელს!...

*

...კა თუ რაც წასდეს,
ველარა აღუ̂სდგეს,
ველარ აღუ̂ავდეს ახლის შვენებით?
დ̃ რაც დაეცა,
ის წარიტაცა
შავმან ყორანმა, ვით უმწე მსხუ̂ერპლი?

*

...ჰე ცრუ სოფელო,
დაუნდობელო,
შენში კეთილი სად არს ოვერ უცვლელ?...

დიდება ჩუენი,
ცად სხივ-მიმფენი,
ნუ თუ ესღა გვაქჳს, ვხედავ რასაცა?
*
დაყრუებულსა,
გზა-შეუვალსა,
უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს,
სად სახე მეფის,
დიდის თამარის,
ჰსჩანს მგელს კედელზედ გამოხატულად!...

1877 წ.

---

## მუშა ბოქულაძე

რას მიყურებ აგრე გაკვირვებითა,
ნუ თუ სახე არ გინახავს მუშისა?
მკერდი ღია, ოფლით გასვრილ, მტვრიანი,
ფერით რკინა, კისერ ჩაყანგებული,
კაცი გულით დაჩაგრული ბედითა,
სიყრმიდანვე სიღარიბით დევნილი,
ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაქცევია
შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა-პურისა!...
*
ან რა გიკვირს? ჩემს შუბლზედა ღარები,
წვერ-ულვაში უდროდ გათეთრებული

ნიშანია გულში ღრმათა ტკივილთა,
დაღთა შრომათ, ღრმათ ფიქრებთა მწარეთა,
უიმედოდ, უნუგეშოდ ყოფნისა!...
ჰსჩანს, არ იცი, რომ, არიან ღარიბნიც
არის სადმე სამწარითა ცხოვრება!...

*

ნუ გიკვირს კი, ჰსჯობს ჩემს გულში ჩასხედო,
წაიკითხო სიმწარის ამბები:
ძმის ღალატი მოყვასთაგან დაჩაგვრა,
მეგობრისგან იუდასი ამბორი,
საყვარლისგან—წყეული სიყვარული,
ნაზის კელით გულს დასმულნი დაღები!...
სოფლის გარე უწყალოდ განდევნილსა
დამავიწყდა რაცა ვიყავ ოდესმე!...
და აწ მხოლოდ დამჰშთა ესე ჩემს ბედად:
ტანჯვით შრომა, ოფლით მებნა ლუკმისა...
და მიდის დღე, მიდის ღამე ამ ყოფით!

*

ნუ მიყურებ ასე გამწარებულსა?
სიღარიბე მეტად ძნელი ჰყოფილა... (?)
მე ვმუშაობ... სხუანი კი იმღერიან!...
ბედნიერნი გულითა უზრუნველნი!...
ბაღით მესმის ჭრიანურის, ლხინის ხმა,
სავათნავას გულ-დამწველი სიტყვები...
გულით მინდა მეც აქედამ ხმა მივჰსცე;
მარამ მრცხვენის: მე მათი რა ტოლი ვარ.

და ღრმად ვჰმალავ გულში სიმწარის ოხვრას,
ძალვით ვიწმენდ თვალში მფრეულს ცრემლსა...
ეჰ, ვის ესმის, თუ სადაც მუშა ჰკვნესის!...

*

მაშ ვინა ვარ, რა მჰქვიან ამ სოფელში,
თუ სიამის ერთი დღეც არ მახსოვდეს?
სიჭაბუკე ტანჯვით შრომამ წაიღო
და ვერ ვჰხედავ მომავალშიც ნუგეშსა,
მცირედს სხივსა სიხარულის ნათელისას...
წყეულ იყოს, ვინცა მუშა აგურთხა,
მოკლებული ყოველ-გვარის შვებისა,
კაცთა შორის კაცად არ მიჩნეული!...

*

რას მიყურებ დაღონებულს, ფერ-მიხდილს?
მოვჰხუცდი და რა მაქვს მოსაგონებლად,
თუ არ ჩემი ვაებითა ცხოვრება?
რა მიამა? რომ მოვკვდე, რა ვინანო?...
როგორც მოველ ისე განვალ ამ სოფლით,
სიცოცხლისვე დროსა დავიწყებული!...
რათ ვიშობე, თუ ეს ბედი თან დამჰყვა?
ვის ვადიდო, ვის დავსწყევლო? არ ვიცი!
მაგრამ ჩემთჳს დღე სიმწარით ღამდება...

*

რათ მიყურებ აგრე გაოცებული?
ნუ თუ, მართლა, კაციც არა გგონივარ,
რადგანაც ვარ სიღარიბის სამოსლით,
არა მქონდეს კეთილისა გრძნობაცა!...

მაშა მღჳდელი ლაპარაკს რომ დამიწყებს,
ყურს რათ ვუგდებ გონება მიზიდული?...
მის სიტყვები, ზოგჯერ თუმცა არ მესმის,
მაგრამ გულს კი უხარიან მათ სმენა!
სულს მიმაგრებს მალი ნუგეშ-ცემისა,
ზეციურის მადლით განათებული.
გულში ჰქრება ღელვა სიბოროტისა...
ვჰგრძნობ სიმშვიდეს... ლოცვაებსა ვიგონებ...
მაგონდება დღენი ყმაწვილობისა,
სმა დედისა, მისი ტკბილი ალერსი... (!!!)
თჳალ-წინ ვჰხედავ დიდხანს დავიწყებულთა...
და აღარ ვჰსწყევ ჩემს შობის დღეს, ჩემს ბედსა!...
მაშინ შრომაც დიდად მიადვილდება,
და მას ღამეს მძინავს ისე მშვიდობით,
თითქოს ჩემს ქოხს დაჰფრინვენ ანგელოზნი!...

*

განცხრომის მქვ, ნებიერად გაზდილო,
ეს ქვეყანა შენთჳს არის შექმნილი!
ველთ სიმწვანე, ცის ლაჟვარდი, მზის შუქი,
გაზაფხული სუნნელების ნიავით,
შენ გეტრფიან, გესარებენ, გატკბობენ!
შენთჳს ჰბრწყინვენ თჳთ ლამაზნი თვალებიც;
ნაზი წელი რხევით შენკენ რონინებს;
მიმოჰქრიან შენთჳს ზღჳაში ხომალდნიც
ჴელოვნების ძვირთ საუნჯეთ მზიდველნი.
თჳთ მეც, მუშა, ჩემის ღონით, ოფლითა,

შენთჳსა ვარ დაბადებით. მსახურად:
დილითვე ვჭვრი ქუჩის უწმინდურებას,
რომ მის სუნი არ ეწყინოს შენს ცხვირსა,
და შორით გმზერ, კრძალვით მლოდე წყალობის...
შენ ხარ მეფე... მე მადლადაც არ მაგდებ!...

*

რაღა გითხრა, ნუ თუ ესლაც ვერ მიჴხვდი,
რა მწველია შოვნა ლუკმა-პურისა?
როგორ ახდენს სიღარიბე კაცის გულს
და აბნელებს სულის სხივსა, გონებას?
ეჰ, ძმავ, წადი შენ-შენს გზაზე სიმღერით...
მე ჩემს ბარგსა როგორმე იქ მოვიხსნი...
სად მე და შენ ვიქმნებით თანა-სწორნი,
საუკუნოს განსასვენსა ალაგსა!...

## ხ ა ლ ი.

სატრფოს ხალი არს ტასტი სიყვარულის,
ეს ფიალა იყოს სადღეგრძო ხალის,
ვისაც არ უყვარს, რა ნახოს კეთილ სოფელს!
შავნი ფიქრნი განსტყვენენ მტანჯვნი გულის,
გულში ეშხით, ხელში ჯამით ილხინეთ,
დიპლიპიტო დაჰკარ—დაარაკუნეთ!

## ლზ) ფსალმუნი

ვინა აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,
სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღ̃თისა დიდებას?...
—სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილი,
ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკითხვად
დ̃ სიყ̃არულით შეიწყალა ცდომილი ვნებით...
ვინცა ამ სოფლის დიდებასა, მზეებრ მნათობსა,
მონებრ არ მიჰსდევს, ჰსცნობს რა მისს შუქს ფუჭ-წარმავალსა
ვინც ძლიერებას ხმითა მაღლით ამცნო სიმართლე
დ̃ ძმას დაცემულს მიჰსცა ჴელი დ̃ აღადგინა!...
იგი აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა
ღ̃თისა დიდების გალობითა ნათელ-მოსილი.

25 ივნისს 1879.

---

ნეტარს მას, ვინცა შენს ახლოს, შენ მხოლოჲსათვის ოხრავდეს,
ხმისა შენისა სმენითა ყურსა ატკბობდეს, ალხენდეს,
ბალახშთა ზოგჯერ თვისადმი საამოდ ჰღიმრად ჰხედვიდეს,
ხან ვარდთა ყნოსვით ჰსთვრებოდეს, ხან ეკლით განიფხიზლებდეს.

***

ამა სოფელს დამშთომიეს მხოლოდ ესე სანატრელი:
ოდეს განვლის ცხოვრების გზას დ̃ მეწევის აღსასრული,
ჩემსა სულსა რომელიც აწ შენდამო მაქვს შეწირული,
სამოთხის წილ შენს ზილფებში აღუნიშნე მას ადგილი.

---

# პასუხი შვილებთა

ჰე განუსჯელნო,
უმადლო-შვილნო,
საუბედუროდ ცუდს დროს შობილნო!
სადღაც მიმალვით,
რას ჰროტავთ, ჰკნავით,
გაბოროტებით რათა ჰსწყევთ მამათ?...
უგადრისობით
და უმეცრებით,
ვერ დააბნელებთ მათ სახსენებელს;
მხოლოდ თქუენთ სიტყუებით,
თქუენვე ინანებთ,
თქუენსვე გულს უგებს უსამართლობა!
დრო მამებისა,
მამაცობისა,
წარვიდა მათთა სახელთა ქებით!
მამანი თქუენნი,
თავის დროს მენი,
თავის დროს იყვნენ სახელოვანნი!...
ოსმალ-სპარსები,
დაღისტნის მთები,
ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ!

მათ დაითვარეს,
სისხლით დაიცჳჱს,
სისხლ-შემოსილი მამული თჳსი,
და სასო ღჳთისა,
მცჳჱლი ერისა,
ენა, საყდარი, სარწმუნოება!...

*

. . . . . . . . . . . .

დრო შეიცჳალა...
გამეფდა ჰსწავლა,
გაგვედოთ შვილებს სახლი სიბრძნისა!
ჰსწავლის მამები,
პროფესორები,
თქჳჱნთჳს მოცლილნი, თქჳჱნთჳს მქადაგნი,
თქჳჱნ გაჰსწავლებდენ
და მზად გამლევდენ,
რაც შექმინათ საუკუნოებს!...
ჩჳჱნც ვჰნუგეშობდით,
გულით ვჰხარობდით,
შვილი მამასა ემჯობინება!
და მოგელოდით
დიდის იმედით,
სიხარულისა ღელვით აღჳსილნი!
ვითმინოთ, მოვლენ,
და განგვინათენ
ჰსწავლისა ლამპრით დავრდომილს მხარეს!

ჩჳჱნც მივეგებით,
მხიარულებით.
ღირსთა შვილებთა კურთხევის სიტყვით!...

*

მოვიდნენ... და რა?
სულ ჩაგვემწარა...
ვაი ჩჳჱნს იმედს... ვაი თქჳჱნ მოსვლას!...
პირჳჱლად იწყეს,
შკოლა გამართეს...
ვჰსთქვით: ახლა მხარე გაგვინათლდება!...
ყრმანი საწყალნი,
უბიწო-გულნი,
ჰსწავლად მისულნი, წაჰხდნენ ზნეობით!...
უსასოებას,
ურწმუნოებას,
უმანკო-გულთში ღრმად ჩაუნერგეს;
„ლოცჳა რათ გვინდა?
ღმერთი რათ გვინდა?
ჩჳჱნი გონება არს ჩჳჱნი ღმერთი!...“
და დაიწყევლა
თქჳჱნი აქ მოსვლა,
და თქჳჱნის სიბრძნის ნაყოფი მხამი!
ღმერთი არ არის?...
შენთჳს ნუ არის!
შენ რა გაწუხებს, რომ ჰსუფევს სხვისთჳს?

*

სხჳათა ხელი ჰყჳჵს
კეთილსა საქმეს:
სტამბით მიჰფინონ სწავლა მამულსა!...
აღჩნდენ მწერლები,
ჟურნალისტები,
ვაი საბრალოს... ვაი ჭჳჵნს ენას!...
მათ უსწავლელთა,
ცრუ-რუსთაველთა,
სრულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი,
ენა მაღალი,
მის ძალი, მადლი,
უწყალოდ წახდა უწმინდურთ კელში!...
ერის ცხოვრება,
მისი დიდება,
მის ისტორია, დაცულ არს ენით;
რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს...
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას!....

*

ახლა რას ელით?
მამათ რათ ჰსწყევლით?
ვიგემეთ თქჳჵნის ღვაწლის ნაყოფი!...
ძველთ უძველესი
არს ესე წესი,
რაც ვერ ჰქმნეს მამათ, ისი ჰქმნან შვილთა!
შვილნო, გამოჩნდით,

ჰსწავლითა, საქმით!
მამის გალანძღუა შვილს ვერ ადიდებს!
ცუდ-მეტყუელებით,
ვერ ამაღლდებით,
დიდებას ეძებთ? კეთილი ჰქმენით!
თქუენი დიდება
ჩუენც გვიამებს:
მის სხივის შუქი ჩუენც მოგვიანათებს!...
აჲა დიდების
და სახელ-ქების
ასპარეზია თქუენთჳს დაცლილი!...
რაღასა ელით?
რატომ გვირგვინით
არ შეიმოსვის, ვინცა გყავთ ღირსი?...
რომ ბრძოლის ცეცხლი,
აჰსტყდეს ფიცხელი,
ხმლისა ტრიალით, ძლევის ყიჟინით,
იმ თქუენმა გმირმა,
სულით ძლიერმა,
ჴელს ბაირაღით, ძირს დაჰსცეს ყარსი!...
რომ მისმა ხმამა,
ქუხილის მსგავსმა,
შეჰსძრას ქუეყანა მის აღსადგენად?...
ვაი საბრალოს,
ჩუენს საქართველოს,
თქუენ დაებადეთ მის სადიდებლად!...

ან სად არიან?
აღარ ისმიან
თავისუფლების მაღალ-ფრაზები!...
„მოყჳასს—შეწევნა,
ბოროტსა—დევნა,
საზოგადობის სულით აღდგენა!...
ერთობა, ძმობა,
ზნეთ ამაღლება,
მამულისათჳს თავის განწირვა!...“
სიტყჳა სიტყჳაა
საქმე კი—სხჳაა...
ოქროს ჯაჭვი ჰსჯობს თავისუფლებას!...
. . . . . . . . .

*

გონების ბრწყინვას,
ჰაზრების ელვას,
წმინდისა გულით კეთილის თესვას,
ნეტავი მიხჳდეთ,
ნეტავი მიჰსწჳდეთ.
მაღალსა ცასში შავარდნის ფრენას!...
და გულით ოჰხრავს
ის, ვინცა ჰხედავს
თქჳენსა სიცოცხლეს ფუჭად მიმავალს...
თქჳენსა უქმობას,
არარაობას,
და უმეცრების ამაყობასა!...
. . . . . . . .

*

ჰე, სასურველო,
გმირთა მამულო,
ნუ თუ შენ მართლად ესრეთ დამცირდი,
რომ შენსა ბედსა,
შენსა იმედსა,
დაეკელმწიფნენ ცრუ-პოეტები?
ცრუ-ლიბერალნი,
პატრიოტები,
მ...ს...ი, მეველე, მელიქადები?...

---

## ჟუკოვსკიდამ

ჰი სოფელო! რად ხარ ესრედ მდიდარ ოცნებით?
შენსა მომდევსა ეჩვენები ტურფად-ცდუნებით;
შენში კეთილსა საცხოვრებლად აქუს წამი ოდენ,
ჭმუნვა არს უფრთო—სიამენი მალიად ფრინვენ.

1832 წ. ნოვგოროდი.

---

***

ახ! ვითა გშვენის,
ღრუბელი ჭმუნვის;
მაღალსა შუბლსა გამოხატული,
მაშინ უმეტესს,
ოდეს კამკამებს,
თვალთ შინა ცრემლი განბრწყინვებული.
მეც მიყვარს გულით,
შენზე დუმილით;
შეუწყვეტელად შორიდგან მზერა;
ყარიბის მოთქმით,
იდუმალ ოხვრით,
ნელ სევდიანი ჭმუნვისა მღერა...
კმარა! მწუხარე,
ვითა მთოვარე
ეგ სახე ტურფა გამომიდარე,
რომ შენის ღიმით,
ტრფობისა შუქით,
ეგებ განვეკრთო, სევდიან გულით
და ჩემს თარს შმაგად
მოსალხენელად,
შეეხოს ჴელი მოუთმენელი,
და გაბედვითა
წარმოსთქჳან სიმთა,
დაუვიწყარი შენი სახელი!...

1869 წ.

# სარჩევი.


ანტონს . . . . . . 3
წვრილი ლექსები . . . . . . . 5
ქმ. ჭავ...სას . . 6
მტირალი ნ... ს... . . . 7
მუხამბაზი. (ნუ მასმევ ღვინოს...) . . . 7
მ...ღმი. (მნათობო თვით შენ ალმიხსენ) 8
გამოსალმება ს—ს . , . . . 10
მირზაჯანას ეპიტაფია . . . . . 11
დავითს. (ჟუკოვსკიდამ) . . . 11
ლხინი. (მიბაძვა პუშკინისა) . . . 12
ღამე . . . . . . . . . 13
იარალის . . . . . . . . . 15
ვირი და ბულბული. (კრილოვიდამ) . . 18
სოფლელნი და მდინარე. (კრილოვიდამ) . 20
ნადირთა ჭირი. (კრილოვიდამ) . . . . 21
მუხამბაზი. (არავისთვის მე დღეს არა მცალიან) 24
სავათნავას მიბაძვა . . . . . . . . 26
სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ. . . 29
ნ... (წუ საყვარელო, ვის მიერ) . . . 30
ჩემს დას ეფემიას . . . . . . . 31
მუხამბაზი. (სულით ერთნო მოლხინენო). 35
ს... ს. (ვარდი ხარ? არა...) . . . . 37

| | |
|---|---|
| მ. ..ლში. (თაყვანის-მცემელთ) | 39 |
| ჩემი კუბოტაფია | 40 |
| როს გხედავ მნათო | 40 |
| ალბომში ლ. ოჰ. | 41 |
| ვინცა გნახოს, ვჳლავცა გნახოს | 44 |
| სალამო გამოსალმებისა | 44 |
| ჭკეი გონებავ | 46 |
| მიბაძვა პუშკინისა | 47 |
| მოგონებას | 48 |
| დიმიტ. ონ—ნის დარდები. | 50 |
| მუხამბაზი. (ლოპიანასი) | 52 |
| სადღეგრძელო | 55 |
| თ. ალექ. ვახ.—მეს ორბელიანს | 75 |
| თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკკლესიაში | 76 |
| მუშა ბოქულაძე | 79 |
| სატრფოს სალი | 83 |
| ფსალმუნი | 84 |
| ნეტარ მას ვინცა | 84 |
| ამა სოფელს დამშთო | 84 |
| პასუხი შვილებთ | 85 |
| ახ, ვითა გშვენის | 93 |